ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 2021 | №212 (8741) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისთვის 1 პირი პასუხისგებაში მისცეს

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

გვ.5

„სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირება ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნება“

გვ.2

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებამ გაჯიუტებით შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას“



„აჰა, ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში, მითხრეს გლდანის ციხეში, გამათრიეს მიწაზე და კისერში მირტყეს“

სააკაშვილის ინციდენტს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სწავლობს

გვ.5

„სააკაშვილს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა თავისი გარემოცვა და ჩამოიტყუეს“

მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილი ნაცმოძრაობის ანონიმური მხარდამჭერია“

გვ.3

გვ.3

„სააკაშვილის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა“

ლევან სამუშია: „მომავალში არც არავის სიკვდილია გამორიცხული – არ გამოვრიცხავ, თავად ჩაიდინონ სიბინძურე და მერე ოპოზიციას გადააბრალონ“

„ოცნება“ კედელთანაა მიყენებული, პოლიტიკურ ჩიხშია“



გვ.4

ვახტანგ მაისაია: „ზელენსკისთვის პრინციპული საკითხია, რომ უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი ქვეყანაში დააბრუნოს“

„რომელ წამებაზეა ლაპარაკი, ვინ აწამებს მიშას?!“

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლება ჯერჯერობით კანონის ჩარჩოებიდან არ გადის“

გვ.2

„მადლობას გიხდით აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერისთვის“

გვ.2

ლოიდ ოსტინმა ირაკლი ღარიბაშვილს წერილი გაუგზავნა

ISSN 1987-9385

4 წამლების ფასი მოსახლეობას ძალიან აწუხებს

6 დანიაში კოვიდ-საშვები ხელახლა დაწესდება

5 ბიძინა ხასია ბექა ლატარიას წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემას უარყოფს

6 ამერიკელი სენატორები „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითხოვენ

„სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირება ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნება“

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებამ გაჯიუტებით შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფინალი?

– მე მაინც ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება მოხდება უკრაინაში. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი და გონივრული გადაწყვეტილება ხელისუფლების მხრიდან. ექსტრადირება მოხდება ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით. ეს სრულიად მიღებული პრაქტიკაა. სულ ახლახან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისრაელის მოქალაქის ექსტრადირება მოახდინა.

არ გამოვრიცხავ, ახლა დიპლომატიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდეს კიევსა და თბილისს შორის. ეს უფრო იქნება არასაჯარო კომუნიკაცია, როგორ მოხდეს გადაცემა ისე, რომ ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს. მით უმეტეს, კიევი დაინტერესებულია გადაცემით. რადას დეპუტატები და სახალხო დამცველი აპირებენ ჩამოსვლას. როგორც ვიცი, უკრაინაში სახალხო დამცველს ძალიან დიდი გავლენა აქვს. ის უკვე ერთხელ იყო ჩამოსული და სააკაშვილი ციხეში მოინახულა კიდეც. ახლა მეორედ ჩამოვა. ასევე ცნობილია, რომ ზელენსკი საქმის კურსშია. ექსტრადირებას ალტერნატივა არ აქვს.



– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ საქართველოში მოიხდის სასჯელს თან ბოლომდე.

– გასაგებია ირაკლი კობახიძის პოზიცია. აქ მთავარია უფრო მაღალ დონეზე რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ცოტა დროში გაიჭიმება, მაგრამ გადაცემა აუცილებლად მოხდება.

თბილისში არაერთი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია არის აკრედიტებული. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის იმდენად გაუგებარია, რატომ დუმან ეს ორგანიზაციები, რომ ახსნას ვერ ვუძებნი. ჯერ არც ერთი საჯარო განცხადება არ გაკეთებულა. მხოლოდ ევროპარლამენტის ცალკეული წვერების განცხადებები გვესმის და თითქოს ამით შემოიფარგლება ეს ყველაფერი.

– როგორ ფიქრობთ, რატომ? რითი ხსნით?

– ჩემთვისაც ამოცანად რჩება, რატომ? დავიჯერო მათი გადმოსახედიდან არაფერი არ ირღვევა?! ჯერ არც ერთ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. სამართლიან სასამართლოზე საუბარი ეს მომავლის საქმეა, მე ვსაუბრობ რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებზე. ციხე რომ დასასვენებელი კუნძული არ არის, ეს გასაგებია, მაგრამ ადამიანის უფლებები ყველგან უნდა იყოს დაცული, ამაზეა საუბარი, თან განსაკუთრებით ციხეში. არც ისე დიდი ხნის წინ, ამერიკაში, შავკანიანი ამერიკელი შემოაკვდა პოლიციელს და ლამის მთელი ამერიკა გადაყვა ამ ამბავს. ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ამ ამბავმა საპრეზიდენტო არჩევნებზეც კი მოახდინა გავლენა.

– რას იტყვით ოპოზიციაზე, რამდენად ადეკვატური და თანმიმდევრულია? ნიკა მელია ხელისუფლებას მიმართავს, ქუჩაში ვიქნებით მანამ, სანამ მოპარულ არჩევნებს არ დათმობთ.

– ხელისუფლება უკვე აცრილია მიტინგებზე, აქციებზე, საერთოდ, პროტესტზე. თითქოს არც არაფერი. „ქართული ოცნება“ ქუჩაში ხმაურს, როგორც ჩანს, მიეჩვია და მას ექსტრაორდინარულ მოვლენად არც კი განიხილავს. თითქოს ასეც უნდა იყოს. ამიტომ, ოპოზიცია უფრო კრეატიული უნდა იყოს. არჩევნებზე უფრო მეტი მიტინგი იყო და მიეჩვია ხელისუფლება. არც ერთი აქციისთვის ანგარიში არ გაუწევია.

– გამოსავალი სად შეიძლება იყოს?

– მოლაპარაკებებში, მაგრამ ისეთ მოლაპარაკებებში, რომელიც ერთსაც და მეორესაც სახეს შეუნარჩუნებს. საერთოდ დიპლომატია, მოლაპარაკებები არ ნიშნავს ყველაფრის დათმობას. ამიტომ კომპრომისებზე თუ წავა ერთიცა და მეორეც, მაშინ შეიძლება რაღაც გამოვიდეს. შეთანხმების უკან წაღება, ამაზე არ შევთანხმებულვართ და ა.შ., ამაზე საერთოდ არ ვსაუბრობ. ეს გამორიცხული უნდა იყოს.

მე უფრო პერსპექტიულად მიმაჩნია მამუკა ხაზარაძის კურსი. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კახა კუჭავა ირაკლი კობახიძე არ არის. ბოლოს და ბოლოს, კუჭავა პარლამენტის თავმჯდომარეა. მასთან უნდა ჰქონდეს ოპოზიციას უფრო მეტი კომუნიკაცია. უფრო თავმოყვარე ადამიანი ჩანს. არ მგონია, მთლად კობახიძის დაკრულზე იცეკვოს. ამიტომ კუჭავასთან უფრო მეტი შეხვედრები და დიალოგი უფრო დაამშვიდებდა სიტუაციას. ბოლოს და ბოლოს, ერთ ქვეყანაში უნდა იცხოვრონ. მუდმივად თანამდებობაზე არც ერთი იქნება და არც მეორე. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს პირველ რიგში. ასევე, იმის, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს შეიცავს ეს ყველაფერი. გაჯიუტებას, ემოციების ზღვას კარგი არავისთვის მოუტანია. გაჯიუტებით შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან. ისეთი შეცდომა, რომელსაც ქვეყანა ვეღარ გაუძლებს. 21-ე საუკუნეა. ხომ არ შეიძლება სიცილიური ვენდეტა გამოუცხადონ ერთმანეთს. არ შეიძლება თაობიდან თაობაზე გადავიდეს შურისძიება. ამაზე უნდა დაფიქრდნენ.

„რომელ წამებაზეა ლაპარაკი, ვინ აწამებს მიშას?!“

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლება ჯერჯერობით კანონის ჩარჩოებიდან არ გადის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– პატონო მამუკა, როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას? სრული ქაოსია ქვეყანაში. მიხეილ სააკაშვილი იძულების წესით გადაიყვანეს გლდანის სამედიცინო დაწესებულებაში. საპროტესტო აქციები არ ცხრება. პროცესების როგორ განვითარებას ელით, სადამდე შეტოპავს ხელისუფლება?

– იცით რა, შეფასება უნდა იყოს ორგვარი, ერთი არის სამართლებრივი, მეორე არის ემოციური, თუნდაც მორალური. ჯერჯერობით სამართლებრივად ხელისუფლებამ რამე დააშავა?! არის თუ არა პენიტენციური სისტემის უფლება, გადაიყვანოს ერთი საპყრობილედან მეორე საპყრობილეში, მით უმეტეს, უკეთეს პირობებში, რადგან ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გადაჰყავს. ეს მათი ლეგიტიმური უფლებაა და სულაც არ არიან ვალდებულები, წინასწარ შეატყობინონ ეს, მშობელი იქნება, ოჯახის წევრი თუ ვინც არ უნდა იყოს, თუნდაც ადვოკატებს. პოსტფაქტუმ, კი ბატონო, ვალდებულები არიან, წინასწარ არა. შეიძლება რაიმე ექსცესს ჰქონდეს ადგილი და ამის თავიდან არიდების მიზნით, სრულიად ნორმალურია, რომ ეს ასე მოხდეს. მეორე საკითხია სუფთა მორალური და ზნეობრივი, დედამისი მოვიდა, დადგა იქ და უთხარი რა, რომ გადაგყავს, რა გაფუჭდება ამითი?! საერთოდ რა გაფუჭდებოდა იმით, რომ მიხეილ სააკაშვილი გადაეყვანათ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში?! ამიხსნას ვინმემ, რა დაშავდებოდა. ეს რაღაც უაზრო ჯინიანობას ჰგავს, თან ამას აკეთებენ ისე, რომ ხელმოსაჭიდი არ დაუტოვონ არავის. ის, რომ გაიტაცეს, სპეცოპერაცია მოაწყვეს და ასე შემდეგ, არარელევანტურია ასეთი განცხადებების კეთება. არანაირი სპეცოპერაცია ეს არ ყოფილა, ჩვეულებრივად გადაიყვანეს სასწრაფოს მანქანით.

– ბადრაგის თანამშრომლებსა და სააკაშვილს შორის შეხლა-შემოხლას ჰქონია ადგილი.

– შეხლა-შემოხლას, არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ადგილი. თქვენ იცით?!

– სააკაშვილის წერილი გავრცელდა და იქიდან ვიცით.

– ესეც ხომ ემოციებზეა ყოველთვის არა? რა თქმა უნდა, გაუძალიანდებოდა. იცით როგორი მომენტია, დამოკიდებულია იმაზე, ბადრაგი როგორ მოიქცევა, მორალურ და ზნეობრივ პრინციპებს დაარღვევს თუ კანონის ფარგლებში იმუშავებს. მას აქვს ვალდებულება, დაავალეს, უნდა გადაიყვანოს. თუ უძალიანდება პატიმარი, ის ჯოხი, რომ კიდია, იმას დაარტყამს კიდევაც, იმიტომ, რომ აქვს ამის უფლება. მეორე მხრივ, როგორი გასაკეთებელია ეს, ადამიანი ამდენი ხნის ნაშიმშილარია, დასუსტებულია, დაუძლურებული და ახლა იმას ქეჩოში წვდე და გაათრიო. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ ყველაფერს ორნაირი შეფასება აქვს, ორი მხარე აქვს. კანონის მხრივ, ესენი ისე აკეთებენ ამ ყველაფერს, რომ ვერ შეედავები, არ არღვევენ კანონს. ვნახეთ ყველამ კადრები, რომ არაჩვეულებრივი კამერა იყო, საკმაოდ დიდი ზომის, სუფთა, კარგი, ყველანაირი ტექნიკით აღჭურვილი, ყველაფერი იყო. სამარტოო კამერაა, არავისთან შეხება არა აქვს. კორიდორიც ისეთია, რომ გადის, შეხება არავისთან არ აქვსო. ყველა პირობას უქმნიან იმისათვის, რომ ნორმალურ პირობებში იყოს. ამას ხომ ვხედავთ არა?!

– ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მწვავე და ხმაურიანია ოპოზიციის პროტესტი.

– ოპოზიცია სულ ხმაურიანია და სულ რაღაცას გაიძახის. ყველა ოპოზიცია ეგრეა. აბა გავიხსენოთ წინა ოპოზიცია, რა სისულელეს იძახდა და რეებს აბრალებდა სააკაშვილის ხელისუფლებას, მკერდის მოჭმიდან და საშვილოსნოების გაყიდვით დაწყებული, შტაბელებად დალაგებული ახალგაზრდა ბიჭების გვამები ქუჩებში. ზოგადად ოპოზიციას ახასიათებს ეგეთი სულელური გამონათქვამები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ან უნდა მივუდგეთ ემოციურად და მორალურად, ან უნდა მივუდგეთ კანონის ფარგლებში. კანონს კი ესენი არ არღვევენ. ვხედავთ ამას.

– საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და დიპლომატიური კორპუსიდან მკაცრი განცხადებები გაკეთდა. იქნება სანქციები? ოპოზიცია ამაზე აპელირებს.

– დაველოდოთ, თუ იქნება, ვნახოთ. გამოჩნდება, ჯერჯერობით მე არაფერი მინახავს. წამების მუხლით მივმართავთო და რომელ წამებაზეა ლაპარაკი, ვინ აწამებს მიშას?! ყველაფერს თავის სახელი უნდა დავარქვათ. რა თქმა უნდა, მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ამ ადამიანის გადაყვანა ჩვეულებრივ საავადმყოფოში, სამოქალაქოში, სადაც მიხედავდნენ ექიმები, იქნებოდა ძალიან კარგი ნაბიჯი.

– არ დაუთმეს ოპოზიციას?

– დიდი ბოდიში ამ უხეში გამოთქმისათვის და ოპოზიცია საერთოდ ფეხებზე ჰკიდიათ. ესენი ამას აკეთებენ თავისი ამომრჩევლისთვის. მათი ამომრჩეველი კი არის ძალიან გაგულისებული და განრისხებული ნაცებზე და მიშაზე განსაკუთრებით. აქ კიდევ მეორე ამბავია, ხალხი. ხალხი კი არის საშინლად რადიკალიზებული, საშინლად გაღიზიანებული ორივე მხრიდან და დაუნდობლად უყურებენ ერთმანეთს.

– 90-იანების შემდეგ საზოგადოება ასე გახლეჩილი და დაპირისპირებული არ ყოფილაო. სრულიად გაიკრიფა შუა, მხოლოდ ორი მხარე არსებობსო. ან საით მივექანებით, რა უნდა ან ერთ, ან მეორე მხარეს?

– ზუსტად იგივე კეთდება, რაც მოხდა 90-იანებში. ოპოზიციას რა უნდა? ხელისუფლებაში მოსვლა, სხვა რა უნდა უნდოდეს? მეტი ინტერესი მათ არა აქვთ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ და იმ ძალებით, რაც მათ აქვთ, ამას ვერც მოახერხებენ. მათ არ აქვთ ის გადამწყვეტი უპირატესობა, რაც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„მადლობას გიხდით აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერისთვის“

ლოიდ ოსტინმა ირაკლი ღარიბაშვილს წერილი გაუგზავნა

– ბატონო პრემიერ-მინისტრო! მადლობას გიხდით ჩემი მასპინძლობისა და საქართველოში ვიზიტის დროს ნაყოფიერი შეხვედრისთვის; ვაფასებ თქვენთან იმ საკითხებზე საუბარს, რაც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების გადამწყვეტ მნიშვნელობას უკავშირდება.

ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის თავდაცვის მდივან ლოიდ ოსტინის ოფიციალურ წერილში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პენტაგონიდან მიიღო.

აშშ-ის თავდაცვის მდივანი ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მაღალ დონეს და „საქართველოს თავდაცვისა და საფრთხის შეკავების უნარის გაძლიერების ინიციატივის“ ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

„თქვენს ქვეყანაში ჩემი ჩამოსვლით დასტურდება შეერთებული შტატების მთავრობის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ჩემი ვიზიტი მიზნად ისახავდა ასევე ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხაზგასმას, რადგან სწორედ ეს გვეხმარებოდა რეგიონსა და მთელ მსოფლიოში ჩვენი საერთო ინტერესების დაცვასა და წინსვლაში.

მადლობელი ვარ ამ პარტნიორობისადმი საქართველოს განუხრელი ერთგულებისთვის; ვიზიტის დროს მქონდა პატივი, პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის სახელით მადლიერება გადმომეცა აშშ-ის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ავღანეთში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის. რადგან „საქართველოს თავდაცვისა და საფრთხის შეკავების უნარის გაძლიერების ინიციატივის“ ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის ვემზადებით უსაფრთხოების სფეროში.

ვიმედოვნებ, თქვენი მხარდაჭერა არ მოაკლდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „ინსტიტუციური რეფორმებისა და თავდაცვის ძალების მოდერნიზაციის ძალისხმევის“ განხორციელებისას. ასევე ვიმედოვნებ, რომ თქვენი ჩართულობით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო შეიძლება არსებით ბერკეტად იქნეს გამოყენებული აღნიშნული ინიციატივის მიზნების რეალიზებისას, რომელზეც დაშენდება საქართველოს ტერიტორიების დაცვის შესაძლებლობები. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას საქართველოში ჩემი ვიზიტის წარმატების უზრუნველყოფისა და აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერისთვის“, – ნათქვამია ლოიდ ოსტინის წერილში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა“

ლევან სამუშია: „მომავალში არც არავის სიკვდილია გამორიცხული – არ გამოვრიცხავ, თავად ჩაიდინონ სიბინძურე და მერე ოპოზიციას გადააბრალონ“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინწინ საღამოს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი ნების საწინააღმდეგოდ რუსთავის ციხიდან გლდანის ციხეში გადაიყვანეს და სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ძირს დააგდეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გლდანის ციხეში, სადაც მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები იმყოფებიან, მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პატიმრებმა. მსჯავრდებულები მთელი საღამო სკანდირებდნენ ყოფილი პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ფრაზებს.

ხელისუფლებამ ეს არ იკმარა და ოპოზიციას ოპოზიციონერი ლიდერის, მოშიმშილე ელენე ხოშტარიას მოწამვლის მომზადება დააბრალა. კერძოდ, ეს განცხადება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

დაირღვა თუ არა სააკაშვილის უფლებები და რა პასუხი აქვს ირაკლი კობახიძის განცხადებასთან დაკავშირებით? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ წევრი, იურისტი **ლევან სამუშია** საუბრობს.

– რა პროცესებიც ვიხილეთ მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ, ეს წმინდა სამართლებრივ ჭრილშიც შეაფასეთ თუ შეიძლება და ამით დაირღვა თუ არა მიხეილ სააკაშვილის უფლებები?

– სააკაშვილის უფლებები თითქმის ყოველდღიურად ირღვევა. გუშინწინდელი ფაქტი, რაც მოხდა გლდანის ციხეში მისი გადაყვანით, ეს არის წამებასთან გათანაბრებული ქმედება, წინასწარ ჩადენილი ქმედება, ვინაიდან ეს შედეგი განჭვრეტადი და მოსალოდნელი იყო. იცოდა ხელისუფლებამ, რასაც აკეთებდნენ, აქედან გამომდინარე ისინი თანამონაწილეები არიან წინასწარ განზრახული ქმედების.

– მათ შორის ციხეში პატიმრების ქცევასაც გულისხმობთ?

– ყველაფერი ეს. ეგ არის მთავარი და მოსალოდნელი იყო ეს, მათ იცოდნენ, რომ ეს მოხდებოდა. რაც შეეხება ქცევას სააკაშვილთან მიმართებაში, როდესაც ის არ გადაჰყავთ მრავალპროფილურ, სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში, ამ შემთხვევაში პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უდიდესი დარღვევა. სახეზე აქვთ იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი ექიმთა კონსილიუმის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ის უნდა გადავიდეს მულტიპროფილურ საავადმყოფოში.

ასევე სახალხო დამცველმა გააკეთა განცხადება ციხის საავადმყოფოსთან დაკავშირებით, რომ ის არ შეესაბამება სტანდარტებს და ასევე, მისი უსაფრთხოების თვალსაზრისითაც არ შეიძლებოდა მისი გლდანის ციხეში გადაყვანა და მაინც გადაიყვანეს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განზრახ მკვლელობის მომზადებასთან გვაქვს საქმე. მათ იციან მოსალოდნელი შედეგის შესახებ და ამის აღკვეთა არ სურთ და ამის შესაძლებლობას უშვებენ. ყოველდღიურად, უმძიმეს დანაშაულებს ჩადის ხელისუფლება.

– ეს დარღვევები ხომ არ შეიძლება გახდეს სტრასბურის სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი?

– სტრასბურის სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი ბევრი რამე შეიძლება გახდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს ძალიან ძლიერი იურისტები და ადვოკატები იცავენ და ისინი ძალიან კარგად იმოქმედებენ, მათ უკეთესად იციან, რა დროს როგორ და რანაირად იმოქმედონ. ჩემი მხრიდან რაღაცა ჭკუის დარიგება სწორი არ იქნება.

– ჭკუის დარიგების კონტექსტში არც მიკითხავს?

– არა, თქვენზე არ ვამბობ, ზოგადად არ მინდა. ბუნებრივია, ყველაფერი, რაც ხდება ამ საქმის ირგვლივ, ეს ყველაფერი დარღვევაა.

– დღეს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესია. რა მოლოდინი გაქვთ, პროცესზე მაინც მიიყვანენ მას თუ აქაც უარს ეტყვიან?

– იცით რა? როდესაც საქმე გვაქვს „ქართულ ოცნებასთან“, რომელიც არის არალეგიტიმური და არჩევნების გაყალბების გზით მიიტაცა ხელისუფლება, ისინი ყოველდღიურად არასამართლებრივ ნაბიჯებს დგამენ. აქედან გამომდინარე რაიმე პროგნოზირებაზე და, მით უმეტეს, სამართლებრივი პროგნოზების გაკეთებაზე ლაპარაკი ჩემი მხრიდან, მე მგონი არასერიოზული იქნება.

– როგორ შეაფასებთ ირაკლი კობახიძის განცხადებას, სადაც ის საუბრობს, რომ თურმე ელენე ხოშტარიას მოწამვლას „გეგმავდით“ ოპოზიცია?

– აქ რა არის იცით, ამ განცხადებიდან გამომდინარე ბევრი ლაპარაკობს, რომ რაღაცა არასერიოზულია და ა. შ. მარტო ქილიკი არ უნდა დავიწყოთ. საუბარი, რომ კობახიძეს ბოდვითი აშლილობა აქვს და ა. შ. აქ საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ამაზე გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ეს არის პირდაპირი ვალდებულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე. ადამიანი, როდესაც საუბრობს უმძიმესი დანაშაულის მომზადებაზე, ამაზე აუცილებელია გამოძიების დაწყება. მანამდე იყო, რომ სააკაშვილი გეგმავდაო და პრემიერ-მინისტრმა გააკეთა ეს განცხადება. ამ ყველაფერზე მყისიერად არის გამოძიება დასაწყები და განცხადების ავტორები დასაკითხები არიან.

გასაგებია, რომ სისულელეა, რასაც ის ამბობს, მაგრამ ასევე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ რამეზე. საზოგადოებას ამით ყურს აჩვევენ და არც არავის სიკვდილი არ არის შემდგომში გამორიცხული და, შესაბამისად, იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ თვითონ რაღაცა სიბინძურე ჩაიდინონ და ოპოზიციას გადააბრალონ, რომ ამის მომზადებას აპირებდნენო. ღმერთმა არ ქნას ასეთი რაღაცა, მაგრამ ამ ბნელებისგან ესეც არ არის გამორიცხული. აქედან გამომდინარე, წესით და კანონით, გამოძიება დღესვე უნდა დაიწყოს. არავითარი საფუძველი არ არსებობს გამოძიების არდაწყებისა და კობახიძე უნდა იყოს დაბარებული გამოკითხვაზე. ამის თეორიული შანსიც არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ სამართლებრივი ხელისუფლება არ გვაქვს და, შესაბამისად, სამართლებრივი ქმედებები არ ხორციელდება.

– მარტო დაბარებული უნდა იყოს თუ ასეთ განცხადებებზე პასუხიც უნდა მოეთხოვოს?

– დაბარებულიც უნდა იყოს და გამოკითხულიც. ეს არის სამართალწარმოების ანაბანა.

– მეტი ხომ არ არის საჭირო?

– შემდგომ მოქმედებებზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ პროცესი როგორც აჩვენებს, ისე უნდა იყოს. ობიექტური გამოძიება სად არის ქვეყანაში, მაგრამ მან თავისი განცხადებებიდან გამომდინარე უნდა დააფიქსიროს პოზიცია და დაიწყოს გამოძიება.

– ღარიბაშვილი დიალოგისკენ მოგიწოდებთ და ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– „ლელომ“ გაავრცელა პოზიცია ამაზე, რომ ხელისუფლებას მაქსიმალურად პიკურად გამწვავებისკენ მიჰყავს სიტუაცია და დეესკალაციისთვისაც მზად ვიყავით, მაგრამ ხომ ხედავთ, რასაც აკეთებს ხელისუფლება და ყოველდღიურად ცეცხლზე ნავთს ასხამს. მათი ქმედებებიდან გამომდინარე გასცემს თქვენი მკითხველი პასუხს, რას აკეთებენ და როგორ აკეთებენ.

„სააკაშვილს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა თავისი გარემოცვა და ჩამოიტყუეს“

მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილი ნაცმოძრაობის ანონიმური მხარდამჭერია“

მარიამ მჭედლიშვილი

მესამე პრეზიდენტის გლდანის ციხეში გადაყვანამ მიმდინარე პროტესტი გაამძაფრა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.

– მიხეილ სააკაშვილის მომხრეები დარწმუნებული არიან, რომ მესამე პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მათი აზრით, იგი გლდანის მე-18 დაწესებულებაში ამ მიზნით გადაიყვანეს. რას იტყვით?

– მიხეილ სააკაშვილს თანავუგრძნობ. არ მინდა, ის იტანჯებოდეს და ავად იყოს. სააკაშვილის მომხრეები იძახიან, რომ მას მოკვლას უპირებენ. ეს მცდარი აზრია. ეს არის ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობა. ივანიშვილთან შეიძლება უამრავი პრეტენზია გვქონდეს (პირადად მე მაქვს პრეტენზიები), მაგრამ ის უჭკუო და შტერი არ არის და ასეთ რამეს არ დაუშვებს. ბიძინა ივანიშვილს არასდროს გაუკეთებია ის, რაც არ შედის მის ინტერესში. სააკაშვილის მკვლელობა არ გამომდინარეობს მისი ინტერესებიდან. აქედან გამომდინარე, ის ამას არ იზამს. სააკაშვილის პატიმრობისა და შიმშილობის ეპოპეა თვენახევარია გრძელდება. ამან ჩაანაცვლა ყველაფერი. მათ შორის, არჩევნები. სააკაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე საუბარი იყო მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში. არჩევნების წინა დღეს ის დააკავეს. სააკაშვილის ახლანდელი მდგომარეობა არის, პირველ რიგში, მისი გარემოცვის ბრალი.

– გარემოცვის ბრალი?

– დიახ. გარემოცვა სააკაშვილს არასწორ, დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდა და ილუზიებში აგდებდა. ამ ხალხმა ჩამოიტყუა ყოფილი პრეზიდენტი. ეს ძალიან მაგონებს გამსახურდიას ჩამოტყუებას. სააკაშვილსაც და გამსახურდიასაც გარემოცვა აბრუებდა. არწმუნებდა, რომ მთელი საქართველო ფეხზე დადგება და შიშველი ხელებით დაიცავს. არადა, რეალობა მაშინაც სხვა იყო და ახლაც სხვაა. ჩამოსვლამდე 3 დღით ადრე გამსახურდიამ დამირეკა. ჩემს მეზობლად იყო დაფარული ტელეფონი და ჩვენი საიდუმლო საუბარი შედგა. მას ჩემგანაც უნდოდა მოესმინა ის, რასაც სხვები ეუბნებოდნენ. მე სიმართლე ვუთხარი. ავუხსენი, რომ მთელი ქვეყანა გვერდით არ დაუდგებოდა. ჩემი სიტყვები სასიამოვნო მოსასმენი არ იყო. გამსახურდიას შევატყვე, ეწყინა კიდეც. მიშაც ასე ჩამოიტყუეს. ფაქტია, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი რაოდენობა სააკაშვილის დასაცავად არ გამოვა. დაზარალებულიც ბევრია.



– თქვენ გამსახურდიასა და სააკაშვილის გარემოცვაზე ამახვილებთ ყურადღებას. გარე ფაქტორებზე რას იტყვით?

– სააკაშვილისთვის მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ მთელი ხალხი არ უჭერს მხარს. მისი პრობლემა მდგომარეობს დასავლეთის ნეგატიურ დამოკიდებულებაში. განსაკუთრებით, უარყოფითადაა განწყობილი სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიმართ აშშ. დასავლეთის პოლიტტექნოლოგიური საამქროდან მუდმივად მესმოდა, რომ მისი შესაძლო ჩამოსვლით საქართველოში ეს დამოკიდებულება უფრო გამძაფრდებოდა და სააკაშვილის ამგვარი მცდელობები განწირული იქნებოდა. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილის გამოჩენა საქართველოში რევოლუციით კი არა, ფიასკოთი დასრულდება. ამ დროს სააკაშვილის გარემოცვა მას ოცნებებით და მითებით ამარაგებდა. ამ გარემოცვაში, ალბათ, ორიოდე შემცდარიც არის. უმრავლესობა კარგად იყო გარკვეული. მათ შორის არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი აფრთხილებდა, რომ ვაშინგტონი არ უჭერს მხარს სააკაშვილის ჩამოსვლას საქართველოში.

– საჯაროდაც გამოთქმულა ეს პოზიცია.

– საჯარო პოზიციაზე უფრო მძაფრი საუბარი პრივატულად მიდიოდა. დეგნანი მიშას გარემოცვას სააკაშვილთან აბარებდა სათქმელს.

– ფიქრობთ, რომ ისინი დანაბარებს არ გადასცემდნენ? რა მიზნით?

– არ ვიცი, რატომ ხდებოდა საბოტაჟი. კონსპიროლოგიაში არ ვიჭრები. ფაქტებიდან გამოვდივარ. სააკაშვილის ბოლოდროინდელ მოქმედებებს ხშირად არჩევნებს უკავშირებენ. პირადად მე, დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის დროსაც ახდენდა გავლენას არჩევნების შედეგზე. არა მგონია, მის ჩამოტყუებას და დაჭერას დიდი ძვრა მოეხდინოს. სააკაშვილი არის ივანიშვილის პოლიტტექნოლოგიური მოცემულობა. ივანიშვილი ნაცმოძრაობის ანონიმური მხარდამჭერია.

– ორპოლუსიანობა წარმატებით მუშაობს?

– აქამდე მუშაობდა. ბიპოლარული მოდელი მთავრდება.

– ადრე გვითხარით, რომ ივანიშვილი ამერიკელებს შეჰპირდა, რომ დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. დავუშვათ, დაინიშნა არჩევნები. ამ პარლამენტს არ ეტყობა, რომ კონსტიტუციაში საარჩევნო ცვლილებების ბოლომდე მიყვანას აპირებს. გამოდის, რომ ვადამდელი არჩევნები გაიმართება შერეული სისტემით. ამ მოდელით ან „ქართული ოცნება“ იმარჯვებს, ან ნაცმოძრაობა?

– ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს. საერთოდ, ნაცმოზე დასავლეთში დიდი ტაბუ არსებობს. სააკაშვილს მხოლოდ ავტორიტარიზმში არ ადანაშაულებენ. დასავლეთი სააკაშვილს რუსეთთან ფარული გარიგების გამო ედავება. სააკაშვილი მიჩნეულია რუსეთიდან მართულ პოლიტიკოსად. სააკაშვილისადმი პრეტენზია 2008 წლის ომსაც ეხება. დასავლეთში თვლიან, რომ სააკაშვილი იმ ომში ჩაება რუსეთის დავალებით. დასავლეთის დამოკიდებულება შესამჩნევია. პრეზიდენტყოფილი ამდენი ხანია ციხეშია, შიმშილობს, მაგრამ ამაზე ტაბუა დადებული. დუმს დასავლეთის პოლიტელიტა და მედია.

– ევროპარლამენტარებისგან იყო გამოხმაურება.

– ერთი-ორმა თქვა და გაჩუმდა. სააკაშვილის ევროპელმა ქომაგებმა ნახეს, როგორია ტრენდი და გაისუსნენ. სააკაშვილის ადვოკატი გვარამია ბევრს ყვიროდა სააკაშვილის ამერიკელ ადვოკატზე. ამაზე ხმას აღარ იღებენ. ეგ კი არა, გამჭვირვალე სასამართლოზეც გაჩუმდნენ.

– სასამართლო მაინც გასამართია?

– ჩემი აზრით, სააკაშვილის საქმეებზე უნდა გაიმართოს საერთაშორისო სასამართლო ჩვენი კოლეგების ჩართულობით. ყველა მისი საქმე უნდა გადაისინჯოს. თუ ეს კაცი მართალია, შეძლებს გააცამტვეროს ბრალდებები. თუ არ არის მართალი, შინაპატიმრობას მოიხდის. სააკაშვილის პრობლემა უნდა გადავიდეს სამართლებრივ ჭრილში და გადაიჭრას სამართლებრივად. სხვა შემთხვევაში, მუდამ ვიქნებით საგიჟეთის რეჟიმში. ეს საგიჟეთი 30 წელიწადია გრძელდება.

– ვადამდელი არჩევნების ძველი მოდელით ჩატარებაზე არ გიპასუხიათ.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვას აზრი აქვს საერთაშორისო ჩართულობის შემთხვევაში. ჩვენი პარტნიორები უბრალოდ მეთვალყურეები კი არა, ორგანიზატორები უნდა გახდნენ. რასაკვირველია, მანამდე გამოსასწორებელია საარჩევნო კანონმდებლობა, ამომრჩეველთა სიები. აქამდე არჩევნებს აკონტროლებდა ივანიშვილი. მისი კონტროლით, 2020 წლის არჩევნებზე ყველას უნდა ეყვირა გაყალბებაზე. ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე ეს ტრენდი არ არის.

– გაყალბებაზე ხომ საუბრობენ?

– ნაკლებად. სააკაშვილის ქეისის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ვადამდელი არჩევნები სამართლიან პირობებში გახდება სიტუაციის მოგვარების საშუალება. არ გამოვრიცხავ, რომ აშშ გამოვიდეს კრიზისის დაძლევის მიზნით ვადამდელი არჩევნების ჩატარების ინიციატივით. სხვა შემთხვევაში, გვექნება რუსეთის მიერ ორგანიზებული დესტაბილიზაცია.

„ოცნება“ კედელთანაა მიყენებული, პოლიტიკურ ჩიხშია“

ვახტანგ მაისაია: „ზელენსკისთვის პრინციპული საკითხია, რომ უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი ქვეყანაში დააბრუნოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მთელი ის ეპოპეა, რაც იყო სააკაშვილის ჩამოსვლიდან დღემდე (სააკაშვილის ციხეში შიმშილობა და მის შესახებ გამოქვეყნებული კადრები), თქვენში რა გრძნობას აღძრავს?

– მიხეილ სააკაშვილი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ იყო. მე რომ ვშიმშილობდი, 2010 წელს, მის მიერ აგებულ ციხეში, ასეთი კომფორტი, საერთოდ, არ არსებობდა. მაშინ ძალიან მძიმე სიტუაცია იყო. 2010 წლის 17 აგვისტოს მე და მელორ ვაჩნაძემ დავიწყეთ შიმშილობა. ჩვენ საქმის გადახედვას არ მოვითხოვდით, ჩვენ მოვითხოვდით ციხეში შემწყდარიყო ადამიანების მკვლელობები, აბუჩად აგდება, ფიზიკური ზეწოლები, არ ყოფილიყო შიმშილობა, ორშაბათს და შაბათს საპატრიარქოს მიერ ბოძებული თევზი და ლობიო მიგვეღო.

– შიმშილობა არ ყოფილიყო? რა, ისეთ საჭმელს გაწვდიდნენ, ვერ ჭამდით?

– საჭმელს მანქანის ზეთით აკეთებდნენ. მისი ჭამა შეუძლებელი იყო, ვერ ვჭამდით.

– მანქანის ზეთით საჭმლის გაკეთება როგორ შეიძლება?

– ასე იყო. შეგნებულად ძალიან დამპალი პური მოჰქონდათ. შიგნით მოსამსახურისთვის ფული რომ გაგეტანებინა, კომერციული მაღაზიიდან მოჰქონდათ საჭმელი, მაგრამ ისიც ვადაგასული იყო.

– ვადაგასული პროდუქტი სპეციალურად შემოჰქონდათ?

– დიახ. ერთადერთი ნათელი წერტილი ორშაბათს და შაბათს იყო, როდესაც საპატრიარქოს შემწეობით შემოჰქონდათ ლობიო და თევზი. მთელი ციხე საპატრიარქოს შემოტანილ თევზსა და ლობიოზე იყო. ორშაბათს და შაბათს ველოდებოდით, რომ ნორმალური საკვები მიგვეღო. სპეციალურად ცუდად კვებავდნენ, სპეციალურად მანქანის ზეთით აკეთებდნენ საჭმელს, რომ ციხეში შიმშილობა ყოფილიყო.

როდესაც საპატრიარქოს საჭმლის შემოტანა შეწყვიტეს, მოვითხოვეთ, რომ საპატრიარქოს საჭმლის შემოტანა აღედგინათ მაინც და პატიმრების შიმშილი შეწყვეტილიყო. მოვითხოვეთ შემოსულიყო მასმედია, ადვოკატები, სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და გაეთავისუფლებინათ პოლიტპატიმრები. პირადად მე ციხის პირობებში 38 დღე ვიშიმშილე.

– რას იღებდით?

– ციხის პირობებში არსებობს სამი ტიპის შიმშილობა. პირველია რბილი, როდესაც ადამიანი არ ღებულობს ციხეში მომზადებულ საკვებს, უარს აცხადებს მის მიღებაზე. მხოლოდ გარედან მიღებულ საკვებს იღებს. ეს პროტესტის ფორმად ითვლება, რაც ცუდია ციხისა და ხელისუფლებისთვის, როდესაც ადამიანი ციხის საკვებს არ იღებს, ციხის ადმინისტრაციას ეწერება, რომ ადამიანი საკვებს არ იღებს.

მეორეა მშრალი შიმშილობა, როდესაც ადამიანი არ ღებულობს არც წყალს და არც საკვებს. მშრალი შიმშილობის პირობებში ადამიანმა მაქსიმუმ შეიძლება 6 დღე გაძლოს.

მესამეა შიმშილობის ისეთი ფორმა, როგორც მე და მელორი ვშიმშილობდით. დაახლოებით ისე, როგორც ახლა მიხეილ სააკაშვილი შიმშილობს. ღებულობს მხოლოდ მინერალურ და ჩვეულებრივ წყალს. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა და ექიმებმა რაღაც დაგინიშნეს, გლუკოზა არ უნდა იყოს. ეს ითვლება შიმშილობად.

თუ მძიმე ავადმყოფია, რაღაც დაავადება განუვითარდა, სხვაა. მე, მაგალითად, ისე მცემეს, რომ პირდაპირ დამჩეხეს და რამდენიმე დღე მორგში ვიყავი. სააკაშვილს მიულოცეს, ტრუპიაო. მერე მორგიდან ამომიყვანეს, რადგან ბრძანება მოვიდა, გააცოცხლეთო. მორგიდან რომ ამომიყვანეს, ისე ვიყავი დაჩეხილი, ექიმებმა მითხრეს, ნატურალურ წვენებს თუ არ დალევ, გარდაიცვლებიო. ძალიან სერიოზული თავის ტრავმა და კანტუზია მქონდა.

ვშიმშილობდი და თან მძიმედ მცემეს, ამის გამო ნატურალურ წვენებს ვიღებდი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. მოშიმშილეებთან ექიმებს არ უშვებდნენ, მიხეილ სააკაშვილთან ყოველ წუთში ექიმები რომ დარბიან. მე ექიმი ვნახე შიმშილობის ბოლო პერიოდში, როცა ჩემი მდგომარეობა გართულდა და წნევა დამივარდა. შიმშილობის შემდეგ, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც კი არ გადავუყვანივარ, არა თუ ჩვეულებრივ სამკურნალო დაწესებულებაში.

– მორგ ში რომ იყავით, იქ გარდაცვლილები იყვნენ?

– არ ვიცი. ცემის გამო გონება დავკარგე. გონზე რომ მოვედი, სხვებმა მითხრეს, მორგში ჰყავდი ჩაყვანილი და იქიდან ამოგიყვანესო. აზრზე რომ მოვედი, ფეხზე მეკეთა ბირკიანი ნომერი. ვერ მივხვდი, რა იყო, რატომ მეკეთა. შემდეგ ბირკა სახლში მქონდა შენახული.

– თქვენ თქვით, შიმშილობის დროს გლუკოზის მიღება არ შეიძლებაო. სააკაშვილი თაფლს რომ ღებულობდა, ახლა ფაფებსაც ღებულობს?

– შეიძლება ღებულობს ისეთ საკვებს, რომელსაც გლუკოზა არ აქვს.

– ხორციანი ფაფაა, ბავშვებს აჭმევენო.

– მე ვიცოდი, რომ გლუკოზა არ უნდა მიმეღო. ნატურალურ წვენებში გლუკოზა არ არის. გლუკოზად ითვლება თაფლი, ლიმონათები, რომელიც ხელოვნურია.

მოშიმშილე ადამიანთან ექიმებს არ უშვებდნენ. ჩემი ადვოკატი ნათია კორკოტაძე დაიღალა იმის თხოვნით, ექიმი შეუშვითო. ექიმი შემოვიდა ბოლოს, როდესაც მართლა მძიმე სიტუაციაში ჩავვარდი, აცეტონის სუნი ამივიდა და შეიძლებოდა მალე გარდავცვლილიყავი. შემოვიდნენ ნიღბებით და ცილობდნენ სისხლი შეეჩერებინათ.

– უკრაინა გადაცემას მოითხოვს?

– უკრაინის ტელეარხებზე ხშირად ვარ და ისინი მეუბნებიან, რომ ზელენსკის ხელისუფლება ამ საკითხს აყენებს. უკრაინის სახალხო დამცველი იყო ჩამოსული, რადის წევრები ჩამოდიან, რამდენიმე ჟურნალისტი არ ჩამოუშვეს. შეიძლება ამას გარკვეული ტელევიზიები არ აფიშირებენ, მაგრამ უკრაინიდან ასეთი ინფორმაცია მაქვს.

რაინას სააკაშვილის დაბრუნება რამდენად სჭირდება?

– პოროშენკომ სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა და უკრაინიდან გააძევა. ზელენსკიმ დააბრუნა, მოქალაქეობა აღუდგინა, გარკვეული ოფიციალური სტატუსი მისცა. მისი თანამდებობა, მართალია არ ითვლება სახელმწიფო თანამდებობად, მაგრამ პოლიტიკური თანამდებობა მაინც მიანიჭა. ზელენსკისთვის პრინციპული საკითხია, რომ უკრაინის მოქალაქე ქვეყანაში დააბრუნოს.

თან სააკაშვილი უკრაინაში პოლიტიკური პარტიის ლიდერია, რომელიც გარკვეულწილად, ზელენსკის მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან, „ხალხის მსახურთან“ პოლიტიკურ ალიანსში შევიდა. ამიტომ ზელენსკისთვის პრინციპული საკითხია, სააკაშვილი უკრაინაში დააბრუნოს.

– „ოცნებამ“ სააკაშვილი უკრაინას რომ გადასცეს, ქართული საზოგადოება როგორ შეხვდება ამ ფაქტს? მით უმეტეს, რომ დაუმთავრებელი საქმეებია.

– „ოცნება“ ახლა კედელთანაა მიყენებული, პოლიტიკურ ჩიხშია. „ქართული ოცნება“ უკრაინას სააკაშვილს დიდი სიამოვნებით გადასცემდა. ამით მმართველი პოლიტიკური ძალა ბევრ პრობლემას მოიხსნიდა, მაგრამ რომ გაუშვას, ეს კიდევ უფრო მძიმედ დაარტყამს, „ოცნება“, როგორც პოლიტიკური პარტია, დასრულდება.

წარმოებულ საქმეებში მისი დანაშაული რომც გამოავლინონ, სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემა, „ოცნებისთვის“ პოლიტიკური ბრძოლის დასრულება იქნება. ამდენად, დღეს „ოცნების“ ლიდერები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან, ანუ ერთგვარ ცაიტნოტში იმყოფებიან.

მიხეილ სააკაშვილი მაღალი დონის პიარტექნოლოგია. ის ჩამოვიდა საქართველოში (არ ვისაუბრებ, როგორ) და შევიდა ციხეში. ახლა ცდილობს საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინოს, პარტიის ლიდერშიპი, ნაცმოძრაობაზე კონტროლი დაიბრუნოს, პარტიის სადავეები ხელში ისევ ჩაიგდოს და საქართველოში სიტუაცია დაძაბოს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. ეს არის რევანშის გეგმა.

– რამდენად შეძლებს ამას?

– არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ მეჩვენება, რომ სტრატეგიულ ინიციატივას „ქართული ოცნება“ კარგავს.

– როგორ კარგავს, როცა ამდენი მხარდამჭერი ჰყავს, რომელიც მას გარკვეულ ამოცანას უსახავს? მეორე ტურის წინ, უამრავი ხალხი და ვიდეოჩანაწერები გამოჩნდა, ნაწამები, ქონებაწართმეული, ვინც ციხეებში გამოამწყვდიეს, სისტემური დანაშაულობები ზედაპირზე დევს.

– კი, მაგრამ „ქართული ოცნების“ უუნაროობა...

– ამ ხალხმა მიზნად დაუსახა ხელისუფლებას, სისტემურ დანაშაულობებზე ბრალი გამოიკვეთოს.

– „ოცნება“ მაინც არ აძლევს პოლიტიკურ შეფასებას იმ პერიოდში არსებულ ვითარებას, „ქართული ოცნება“ პასიურობს, რადგან მას არ აწყობს ასეთი ნაბიჯების გადადგმა. სიტუაცია იძაბება. ერთი მხრივ, ჩვენ ვხედავთ, ნაწამები ხალხის უმრავლესობას, რომლებიც მაინცდამაინც არ აქტიურობენ, არ გამოდიან. მეორე მხრივ, ნაცები ორგანიზაციულად და ძლიერად აქტიურობენ, თანდათანობით ძაბავენ სიტუაციას და ქმნიან ისეთ ვითარებას, თითქოს მიხეილ სააკაშვილს მეტი მომხრე ჰყავს. ესეც პიარტექნოლოგიაა.

ნაცები ჩვენი საზოგადოების მცირე ნაწილია, მაგრამ კარგად ორგანიზებული. ისინი მოტივირებულები არიან და ყოველთვის შეიძლება ყველაფერზე წავიდნენ.

– სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემას გამორიცხავთ?

– „ქართული ოცნების“ დღევანდელი ვითარების ფონზე, სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემას ვერ გამოვრიცხავ. თუმცა, შეიძლება „ოცნებამ“ ეს არ გააკეთოს, რადგან საბოლოოდ მათ სრულ დეგრადაციას გამოიწვევს.

ღარიბაშვილი Siemens Energy-ის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანული კონგლომერატის, Siemens Energy-ის ვიცე-პრეზიდენტ არიელ პორატს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობებზე, რომელსაც ქვეყანას როგორც ევროკავშირთან, ისე მეზობელ სახელმწიფოებსა და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აძლევს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, Siemens Energy დაინტერესებულია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობა მიესალმება Siemens Energy-ის დაინტერესებას ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს და წარმოების შესაძლებლობების გაცნობის კუთხით და მზადაა, მათ მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი.

გერმანული მულტინაციონალური კონგლომერატი Siemens-ი არაერთი მიმართულებით საქმიანობს და დასაქმებული ჰყავს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი.

წამლების ფასი მოსახლეობას ძალიან აწუხებს

პრემიერი ფარმაცევტული ბაზრის კვლევის მონიტორინგის შუალედურ ანგარიშს გაეცნო

ფარმაცევტული ბაზრის დარეგულირების მიზნით აქტიური შეხვედრები დაიწყება, მათ შორის, სექტორის მონაწილეებთან, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან, ირაკლი ლექვინაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

შეხვედრაზე კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული ფარმაცევტული ბაზრის შუალედური ანგარიში განიხილეს. მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული საკითხი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახდეს.

– მე გავეცანი ფარმაცევტული ბაზრის შუალედურ ანგარიშს, რომელიც თქვენ მოამზადეთ. ნამდვილად საინტერესოა თქვენი ანგარიში, ამიტომ დავიწყოთ მუშაობა. მე მინდა აღნიშნული საკითხი გავხადოთ მაქსიმალურად გამჭვირვალე. დავიწყოთ დიალოგი ამ დარგის წარმომადგენლებთან, ძირითად მოთამაშეებთან. ასევე, ვაპირებ, რომ ეკონომიკური საბჭოს ფორმატშიც დავიწყოთ აქტიური მუშაობა ამ საკითხის დარეგულირების მიზნით, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, წამლების ფასი მოსახლეობას ძალიან აწუხებს და საზოგადოებაში არსებობს კითხვები, ამიტომ საჭიროა ამ საკითხის შესწავლა და პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. ამ მიზნით დაიწყება აქტიური შეხვედრები და მჭიდრო დიალოგი სექტორის წარმომადგენლებთან იმისთვის, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩეს უპასუხოდ.

როგორც კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ფარმაცევტული ბაზრის შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც გულისხმობს ფარმაცევტულ ბაზარზე მეტი კონკურენციის შესაძლებლობას და მომხმარებლისთვის მედიკამენტებზე მეტ ხელმისაწვდომობას.

– ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ის ძირითადი მიგნებები და ჩვენი შუალედური ანგარიში მოიცავს 2016-2020 წლის პერიოდის ანგარიშს და, შესაბამისად, ჩვენ მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზეა წარმოდგენილი ის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ორი მიმართულებით



შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი, ეს გულისხმობს ბაზარზე არსებული მაღალი კონცენტრაციისა და არსებული ჰოლდინგური სტრუქტურის ზეგავლენის შეფასებას და მათ განეიტრალებას, იმისათვის, რომ მეტი კონკურენცია იყოს მომხმარებლისთვის და მეტი ინფორმირებული არჩევანი ჰქონდეს მომხმარებელს იმისთვის, რომ საუკეთესო არჩევანის პირობებში მეტი დაზოგოს, როდესაც მედიკამენტებში საკმაოდ მაღალი დანახარჯების გაღება უხდება.

მეორე მიმართულება ჩვენი რეკომენდაციებისა, ეს არის სისტემური საკითხები, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით, რომელიც გულისხმობს პირველ რიგში, ჩვენი შეფასებით, სარეცეპტო პოლიტიკის ცვლილებას, მის ელექტრონიზაციას და მეტი არჩევანის გაკეთებას სარეცეპტო პოლიტიკის ფარგლებში, რადგანაც, მომხმარებელს ჰქონდეს მეტი ინფორმაცია და მეტი არჩევანი ბაზარზე არსებული იმ მედიკამენტების შესახებ, რომლის შეძენაც მათ უწევთ. ამიტომ, ჩვენ მზად ვართ, აღნიშნული შუალედური დასკვნა გავაცნოთ ყველა დაინტერესებულ მხარეს და წარმოვადგინოთ რეკომენდაციის ის პაკეტი, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვაჩნია, რომ მეტად კონკურენტუნარიანს გახდის აღნიშნულ ბაზარს, რაც შესაბამისად, გარკვეულ პერიოდში უნდა აისახოს მედიკამენტების ფასებზე. აქ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს ჰქონდეს მეტი ინფორმირებული არჩევანი, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

„რომელ წამებაზეა ლაპარაკი, ვინ აწამებს მიშას?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

2003-ში იყო, ხალხის მხარდაჭერის მხრივ. რაც შეეხება ხელისუფლებას, იმათ, ცხადია, უნდათ შენარჩუნება, მათაც არა აქვთ უპირატესობა, ამიტომ ისინი იყენებენ სამართალდამცავ სტრუქტურებს, ადმინისტრაციულ რესურსს, აბსოლუტურად ყველა რესურსს. მე ერთ რამეზე ვფიქრობ, ხომ არ უნდა ხელისუფლებას, მოაწყოს დაპირისპირება ხალხს შორის და მერე ეს დააბრალოს ნაცმოძრაობას და მთლიანად ოპოზიციას და გამოიყენოს მაქსიმალურად ძალისმიერი მეთოდები.

– სააკაშვილის გადაყვანით მიზანმიმართულ პროვოკაციაზე წავიდა ხელისუფლებაო.

– არ გამოვრიცხავ, თუმცა ვერც დავეთანხმები. ფაქტი ერთია, საერთაშორისო თვალსაზრისით ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ცუდად არ გამოიყურებოდნენ. ჯერჯერობით კანონის ჩარჩოებიდან არ გადიან.

– დღეს სასამართლო პროცესია ჩანიშნული, რა მოლოდინი გაქვთ?

– აქ არის ორი გამოსავალი, ცუდი და კარგი. კარგი გამოსავალი იქნება, რომ მაქსიმალურად სწრაფ დროში დაამთავრონ ეს პროცესი და ექსტრადაციით გაუშვან უკრაინაში. რაც შეეხება ცუდ ვარიანტს, მე ამას არ გამოვრიცხავ და სიმართლე გითხრათ, ამისკენ ვიხრები. არ გამოვრიცხავ მიშას მიმართ პირადი ზიზღის ბოლომდე გამოვლინებას, დატოვონ ციხეში და ბოლომდე ყავდეთ ციხეში გამომწყვდეული.

– მაშინ იქნება სულ ქაოსი და პროტესტი. გამოდის, რომ ეს აწყობს ხელისუფლებას და ამითი სხვა დანარჩენ პრობლემებს გადაფარავს?

– ზუსტად ამას ვამბობ. მე არ გამოვრიცხავ, რომ აწყობდეს ასეთი დაძაბულობა, ხომ ვხედავთ, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს გადამწყვეტი უპირატესობა. ეს იქნება ძალიან ცუდი ვარიანტი, ამაზე უარესი რომ არ არსებობს. თუმცა ორივე ძალას ეს სიტუაცია აწყობს და ასე ერთმანეთს აბალანსებენ.

– რამდენად გეგმავდა ოპოზიცია პროვოკაციას? კობახიძე აცხადებს, რომ ელენე ხოშტარიას მოწამვლას გეგმავენო.

– რაც რამ თქვა „ქართულმა ოცნებამ“, აქედან რამე გამართლდა? ორივე მხრიდან გადაბრალებას და თითის გაშვერას აქვს ადგილი, პატარა ბავშვებივით იქცევიან. ეს სისულელეა.

– რამდენად ელით, სიტუაცია ისე დაიძაბოს, რომ უმართავი პროცესი მივიღოთ?

– ღმერთმა დაიფაროს და ნებისმიერი ესკალაცია, ნებისმიერი გამწვავება და მსხვერპლი, იქნება თავიდან ბოლომდე ხელისუფლების პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ ის არის ხელისუფლება, ოპოზიცია კი არ არის ხელისუფლება და თუ ამას ვერ ხვდებიან, აღარ ყოფილა საშველი!

– რა მოლოდინი გაქვთ? რა იქნება?

– რა გითხრათ აბა? დღეს ჩემმა ცოლმა მითხრა, ხომ არ წავიდეთ და ისევ უცხოეთში გადავცხოვრდეთო. არა და ის იქ იყო პირველი მსურველი ოჯახიდან, რომ აქ ჩამოვსულიყავით. ძირითადად ასეთი განწყობაა ხალხში.

„აჰა, ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში, მითხრეს გლდანის ციხეში, გამათრიეს მიწაზე და კისერში მირტყეს“

სააკაშვილის ინციდენტს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სწავლობს

– გადმომათრიეს მანქანიდან, გამათრიეს მიწაზე და რამდენჯერმე ჩამარტყეს კისერში, მითრიეს თმებით და ამ დროს გავუწიე წინააღმდეგობა.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წერილში, რომელიც საზოგადოებას მისმა ადვოკატმა ნიკა გვარამიამ გააცნო.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს მოტყუებით.

ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ მუდმივად ესმის კრიმინალების შეძახილის ხმა.

„მე აქ გადმომიყვანეს მოტყუებით მას შემდეგ, რაც გამომიცხადეს, რომ ქალაქის რეგულარულ კლინიკაში მივყავდი და გამიუქმეს შეხვედრა ექიმებთან და პაემანი დედაჩემთან და ჩემს შვილებთან.

როდესაც მიმიყვანეს კრიმინალების კორპუსთან, რომელთაც ატეხეს დიდი ჟრიამული და არ შეწყვეტილა ეს ჟრიამული ამ წუთამდე, ციხის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, როგორც ჩანს, ხელმძღვანელმა მუშაკმა გამომიცხადა, „აჰა, ჩიტო, ხომ ჩაგიგდეთ ხელში?!“ და გინებაც მოაყოლა.

მე მოვითხოვე მისი სახელი და გვარი, თუმცა, უარი მითხრეს თქმაზე. შემდეგ გაფრთხილების გარეშე დაიწყეს ჩემი გადმოთრევა თანამშრომლებმა, მიუხედავად ჩემი კატეგორიული უარისა, გადმომათრიეს მანქანიდან, კრიმინალების გინების ქვეშ, გამათრიეს მიწაზე და რამდენჯერმე ჩამარტყეს კისერში, მითრიეს თმებით და, რა თქმა უნდა, ამ დროს გავუწიე წინააღმდეგობა. ისევე, როგორც პალატაში, სადაც რაღაც გარკვეული შესახედაობის მედპერსონალი მომიახლოვდა და ამ დროს მართლაც ანალიზატორს გავკარი ხელი, იმიტომ, რომ რაღაც ნემსის გაკეთება დაიწყეს ჩემი ნებართვის გარეშე,

ჩემი რეაქცია იყო გამოწვეული მთელი ამ ძალადობის და შეურაცხყოფის შემდეგ, აღელვებით. ყველა იქცეოდა როგორც ნამდვილი კრიმინალი, ჩემს საკანში მუდმივად ისმის კრიმინალების შეძახილის ხმა“ – აღნიშნულია წერილში.

❖ ❖ ❖

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

„სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული შეტყობინების, ასევე, სოციალურ ქსელში და მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში, 2021 წლის 9 ნოემბერს დაიწყო გამოძიება, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს უკვე ჰქონდა კომუნიკაცია მ. სააკაშვილის ადვოკატთან მ. სააკაშვილის გამოკითხვის მიზნით. ამ უკანასკნელის გამოკითხვის შემდგომ, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მ. სააკაშვილთან დაიგეგმება საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების, მათ შორის, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უკვე მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2021 წლის 8 ნოემბერს, მ. სააკაშვილის გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერების, მათ შორის, N12 პენიტენციური დაწესებულებიდან N18 პენიტენციურ დაწესებულებაში ტრანსპორტირების ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივების მოთხოვნით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მათი გამოთხოვის მიზნით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შემჭიდროვებულ ვადებში ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას. ამასთან, სამსახური სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, ითანამშრომლებს მ. სააკაშვილთან და მის ადვოკატებთან, გამოძიების პროცესში მათი ჩართულობისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მათი სრულყოფილი ინფორმირების მიზნით“ – ნათქვამია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადებაში.

❖ ❖ ❖

გუშინ, 9 ნოემბერს, გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილთან გამოკითხვის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი გიორგი მიქელაძე შევიდა.

გამოკითხვას მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებიც დაესწრნენ.

როგორც დაწესებულებაში შესვლამდე მიქელაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, გამოძიება დაწყებულია სააკაშვილის მიმართ განხორციელებულ შესაძლო არაადამიანურ მოპყრობაზე. გამომძიებლის თქმით, ის ყოფილ პრეზიდენტთან დამატებითი ინფორმაციის მოძიების და გამოკვლევის მიზნით შედის.

– სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამძიებო დეპარტამენტში დაწყებულია გამოძიება საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, ამ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატების მონაწილეობით მიხეილ სააკაშვილის გამოკითხვა, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკითხვის შემდეგ შემდგომი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

კითხვები შეეხება იმ ინფორმაციას, რაც მასმედიის საშუალებით გავრცელდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უკვე მიმართა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში პენიტენციურ სამსახურს შესაბამისი საჭირო ვიდეოჩანაწერების დაარქივების თაობაზე, რათა შემდეგში, სასამართლო განჩინების საფუძველზე, მისი გამოთხოვა განხორციელდეს“ – განაცხადა მიქელაძემ.

მისივე თქმით, თუკი მოძიებული იქნება ნივთმტკიცებები, მათი ამოღება საპროცესო კოდექსის შესაბამისად მოხდება.

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

გუშინ, 9 ნოემბერს, საქალაქო სასამართლოში 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროცესი გაიმართა.

მოსამართლემ კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები გიორგი კავილაძე და აკო ჭელიძე ისევ პატიმრობაში დატოვა.

აკო ჭელიძის ადვოკატი საქმის პროკურორს, ლევან ვეფხვაძეს დაუპირისპირდა და მას საუბრის ტონი დაუწუნა.

გიორგი კავილაძის უფლებადამცველი ამბობს, რომ მის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი უნდა გადაუკვალიფიცირდეს.

ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.

შეგახსენებთ, რომ ნიკო კვარაცხელია თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 15 სექტემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებულად გამოძიებამ აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დაასახელა, თუმცა მკვლელობის ადგილიდან ორივე მათგანმა მიმალვა მოახერხა. მოგვიანებით, ისინი 7 ოქტომბერს სპეცოპერაციის შედეგად წყნეთში აიყვანეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები 15 სექტემბერს ნიკო კვარაცხელიას ჯგუფურად განზრახ მოკვლის სისრულეში მოყვანის მიზნით მივიდნენ. გამოძიების ინფორმაციით, კვარაცხელიას აკო ჭელიძემ ესროლა.

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, აკო ჭელიძეს და გიორგი კავილაძეს საქართველოს პროკურატურამ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად) და 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჯგუფურად ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება) წარუდგინა.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლოს შემდეგ ნიკო კვარაცხელიას ოჯახის ადვოკატმა გიორგი გვაჯაიამ ფეისბუქში განცხადება გაავრცელა.

„დღეს, ჩემი ცხოვრების მანძილზე ყველაზე მძიმე სხდომას დავესწარი თბილისის საქალაქო სასამართლოში. ნიკოს საქმეზე, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა.

კანონის მიხედვით, ასეთი მოცემულობისას, სასამართლო იწვევს მხარეებს იმის დასადგენად – აუცილებელია თუ არა ბრალდებულთა მიმართ უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) ძალაში დატოვება.

სხდომის მიმდინარეობისას დამეუფლა განცდა, რომ ვიმყოფებოდი რაღაც ტიპის კონფერენციაზე, სადაც განიხილებოდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე საკითხები. ბრალდებულ გიორგი კავილაძის ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატი იმდენად გაერთო ვიწროსამართლებრივ წიაღსვლებში, რომ პატიმრობის ფაქტობრივი საფუძვლები „მარჩიელობად“ შეაფასა. ადვოკატების მხრიდან ადგილი ჰქონდა რაღაც გაუგებარი, მოჩვენებითი პათოსით გამსჭვალულ თავდასხმებს პროკურორზე და ა.შ. ახლა, ნიკოსთან ვარ, საფლავზე და „მარჩიელობის“ გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ეს ფაქტია, რეალობა, – ის ჩვენთან აღარ არის.

მე, როგორც ადვოკატს, კარგად მესმის, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. რა თქმა უნდა, სასამართლოს სხდომებზე მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმის იურიდიულ/სამართლებრივ ასპექტებზე საუბარი მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციების გამოხატვისას, მაგრამ, როდესაც საქმე ნიკოს ეხება, – მსურს ვურჩიო გიორგი კავილაძის ადვოკატს, ყურადღებით გაეცნოს უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში „ადეკვატურის“ მნიშვნელობას.

და კიდევ, ბატონო გიორგი! ჩვენს პროფესიაში, ზოგჯერ, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თავდაჭერილობა სჯობს მჭმუნვარე სახით ბრძნადმეტყველებას“ – დაწერა ადვოკატმა გვაჯაიამ.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისთვის 1 პირი პასუხისგებაში მისცეს

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე აჭარაში ერთი პირი პასუხისგებაში მისცა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აჭარის რეგიონში, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მისი ფაქტობრივი მართვის ქვეშ მყოფი ორი კომპანიის სახელით, ურთიერთშორის ფიქტიურად გაწერა ჯამში 1.079.560 ლარის ღირებულების სამშენებლო/სარემონტო მომსახურების ამსახველი ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რა გზითაც მისსავე კომპანიას შეუქმნა ჯამში 164.678 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი, შედეგად, თაღლითურად დაეუფლა 13.584 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბიძინა ხასია ბექა ლატარიას წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემას უარყოფს

ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე დაკავებული ბიძინა ხასია გამოძიებისთვის მისი მეგობრის, ბექა ლატარიას წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემას უარყოფს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში, დაკავების შემდეგ ხასიასთან ჩაწერილი აღიარებითი ჩვენების ვიდეომასალა გავრცელდა, რომელშიც ბრალდებული აცხადებს, რომ მას შატალოვას მკვლელობაში ბრალდებულმა ბექა ლატარიამ უთხრა, რომ „ძალიან მაგარ შარშია და რომ ვიღაცას ესროლა“. ხასიას თქმითვე, ლატარია გზაში ტელეფონზე ვიღაცას ურეკავდა, ლაპარაკის ხმა კი მას არ ესმოდა.

დაკავებულის ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნულ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით მას ბიძინა ხასიამ უთხრა, რომ რასაც პოლიციელები ამბობდნენ, იმას იმეორებდა. ადვოკატი ვიდეოჩანაწერს ექსპერტიზას ჩაუტარებს.

– ბიძინა ხასია მეუბნება, რომ ჯერ დაკავებისას, შემდეგ კი პოლიციაში სცემეს. აღიარებით არ მიღიარებია, მოვყევი ის, რაც სიმართლე იყოო, ლატარია მართლა მივიყვანე, დავტოვე ასათიანის ქუჩაზე და არა გაზაფხულის ქუჩაზეო. დაახლოებით, 23:00 საათზე დამირეკა და წამოვიყვანეო, მკვლელობა კი ღამის 00:20 საათზე მოხდა. წამაკითხეს, რაც დავწერე და იქ მსგავსი არაფერი ეწერაო, მერე ხელი რაზე მომაწერინეს, აღარ წამიკითხავსო. თვითონ არ გამორიცხავს, რომ ფურცლები შეუცვალეს.

რაც შეეხება ვიდეოს, ხასია აცხადებს, რომ ნამდვილად არ ვიცოდი, იღებდნენ თუ არა, არ შემიმჩნევიაო, მე მათ ნათქვამს ვიმეორებდი და შეიძლება კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩამიწერეს, მიაბეს და ისე გამოიყვანეს, როგორც გამოვიდაო. მე რომ მეღიარებინა, რომ ჩემმა მეგობარმა ასე მითხრა, ვესროლე და შარში ვარო, არ ყოფილაო. მოკლედ, ეს ვიდეოჩანაწერი შესამოწმებელია. ექსპერტიზას ჩავატარებთ, არის თუ არა მონტაჟი.

რას ამბობს, იცით? როცა მეუბნებოდნენ, ასე თქვიო და ვიმეორებდი, ვკითხე, ტყუილი რაში გჭირდებათ-მეთქი – გამორიცხული არ არის, რაღაც მონაკვეთი ამოიღეს, როცა მათ მოყოლილს და მათ მოწოდებულ ვერსიას ვიმეორებდიო, – აცხადებს ჭაბაშვილი.

მკვლელობაში ბრალდებულ ბექა ლატარიას ადვოკატი გიორგი ლაღიძე კი მისი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან დანაშაულის ჩადენას უარყოფს და როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ის აღნიშნავს, სჯერა იმის, რაც ბიძინა ხასიამ სასამართლო პროცესზე თქვა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს, მას დანაშაული არ ჩაუდენია. რაც შეეხება ბიძინა ხასიას, როცა ის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე იყო, იგივე განაცხადა და თქვა, რომ დანაშაული არ აქვს ჩადენილი და მის მიმართ ძალადობა განხორციელდა. შესაბამისად, რა მოხდა დაკავების დროს, ვინ რა წესით მოიპოვა ჩვენება, ეს დასადგენია. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტზე, ამ ყველაფერს გამოძიება დაადგენს, – განაცხადა ლაღიძემ.

ანასტასია შატალოვა თბილისში, საბურთალოზე 18 ოქტომბერს მოკლეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა ბექა ლატარია, ბიძინა ხასია და ლევან რაჯავი დააკავეს.

ბექა ლატარიას ბრალი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის მუხლით აქვს წარდგენილი.

ბიძინა ხასიას გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას, პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობას და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

ლევან რაჯავს გამოძიება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვას ედავება.

სამივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. ბექა ლატარია მოსამართლემ სასამართლოს უპატივცემლობის გამო სხდომათა დარბაზიდან გააძევა.

ამერიკელი სენატორები „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითხოვენ

რესპუბლიკელი სენატორების ჯგუფმა აშშ-ის სენატს საკანონმდებლო ცვლილება შესთავაზა, რომელიც გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

სენატორები აცხადებენ, რომ გაზსადენი დააზიანებს აშშ-ის მოკავშირეებს ევროპაში, მათ შორის, უკრაინას. საკანონმდებლო ცვლილება სენატში საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრმა ჯიმ რიშმა წარადგინა.

ცვლილების მხარდამჭერებს შორის ცნობილი სენატორები, ტედ კრუზი და ტომ კოტონიც არიან.

სენატორ რიშის განცხადებით, რუსეთმა შეწყვიტა გაზის ტრანზიტი უკრაინის გავლით და ასევე, უკრაინის საზღვარზე სამხედრო ძალების რაოდენობა გაზარდა მას შემდეგ, რაც ჯო ბაიდენმა „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ სანქციები გააუქმა.

– სანამ ადმინისტრაცია აგრძელებს კონგრესის ნების იგნორირებას, ჩვენ გავაგრძელებთ კანონმდებლობის ინიცირებას, რომელიც იცავს ჩვენს მოკავშირეებს და ინტერესებს ევროპაში და ასევე გავაგრძელებთ კრემლის მავნე ზეგავლენის ხელშემწყობი პროექტებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, – განაცხადა სენატორმა ჯიმ რიშმა.

შეგახსენებთ, ჯო ბაიდენმა გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები წელს გააუქმა. რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანია „გაზპრომმა“ გასულ თვეში განაცხადა, რომ გაზსადენის მშენებლობა უკვე დასრულებულია.

დანიაში კოვიდ-საშვები ხელახლა დაწესდება

ბოლო დღეების მანძილზე კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო დანიაში „კოვიდ-საშვები“ ხელახლა დაწესდება.

უკვე 5 დღეა, რაც ქვეყანაში ყოველდღიურად დაინფიცირებულთა რაოდენობა 2.000-ს აღემატება.

დანიის პრემიერ-მინისტრის მეთე ფრედერიკსენის განცხადებით, საშვების თავიდან დაწესება აუცრელი ადამიანებისთვის სირთულეებს წარმოქმნის და მათ ვაქცინაციისკენ უბიძგებს.

დანია ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში, სადაც რესტორნებში, კაფეებში, სპორტულ დარბაზებში, ღამის კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში „კოვიდ-საშვების“ წარდგენა სავალდებულო გახდა, თუმცა დაინფიცირების შემთხვევების შემცირების ფონზე, რეგულაციები 10 სექტემბრიდან გაუქმდა.

დანიაში 12 წელს ზემოთ მოსახლეობის 85.9% ორი დოზით არის ვაქცინირებული. **მოამზადა ნიკა თევზაძემ**

მეგან მარკლი ამერიკის პოლიტიკაში ჩარევის მცდელობისთვის გაკიცხეს

ბრიტანეთის პრინცის ჰარის მეუღლე მეგან მარკლი შეეცადა აშშ-ის პოლიტიკაში ჩარეულიყო და ამისთვის ამერიკელების მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა.

სასექსის ჰერცოგინიამ რამდენიმე ამერიკელ სენატორს მის პირად ნომერზე დაურეკა. მან რესპუბლიკელებს მიმართა, რომ მათ მისი ინიციატივების მიმართ მხარდაჭერა გამოეხატათ სამთავრობო დონეზე. საუბარია კანონპროექტზე ბავშვის მოსავლელად შვებულებაში გასვლის და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მარკლი ესაუბრა სენატორებს შელი მურ კაპიტოს და სიუზენ კოლინზს. მან სენატორებს საიდუმლო ნომრებზე დაურეკა.

ამერიკელებმა მეგანი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისთვის გაკიცხეს. მათ ტვიტერში დაწერეს, რომ ამერიკას არ აინტერესებს სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია.

– მთელ ამერიკას სრულიად არ აინტერესებს არც მეგან მარკლი და არც პრინცი ჰარი ან პრინცი ჩარლზი, – აღნიშნა სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა.

გერმანია პოლონეთს საზღვრის დაცვაში უნდა დაეხმაროს

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი აცხადებს, რომ გერმანია პოლონეთს საზღვრის დაცვაში უნდა დაეხმაროს.

– პოლონეთი ამას დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. ჩვენ უნდა დავეხმაროთ პოლონეთის მთავრობას გარე საზღვრის დაცვაში. ეს ევროკომისიის საქმე უნდა იყოს და გაერთიანებას მოქმედებისკენ მოვუწოდებ, – განაცხადა მან.

ზეეჰოფერმა აღნიშნა, რომ პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე კედლის მშენებლობის იდეას ეთანხმება.

იქამდე კი ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ბელარუსს მოუწოდა, შეწყვიტოს ადამიანების სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება.

ბოლო რამდენიმე კვირაა ბელარუსის გავლით ევროკავშირში მოხვედრას ათასობით მიგრანტი ცდილობს.

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საზღვართან 12.000 ჯარისკაცია მობილიზებული.

27 წლის გოგონაზე დაქორწინებული 55 წლის მამაკაცი გარყვნილად გამოაცხადეს

ამერიკის მისურის შტატის 55 წლის მკვიდრმა მამაკაცმა იქორწინა თავისზე 28 წლით უმცროსს შეყვარებულზე. ამის შემდეგ სოციალურ ქსელებში მამაკაცს გარყვნილი უწოდეს.

დარინმა 27 წლის სარა ჰენდერსონი იუთუბიზე გაიცნო, სადაც ორივეს საკუთარი არხი მიჰყავთ. დროდადრო ისინი ერთმანეთის ვიდეოებზე კომენტარებს დებდნენ, შემდეგ კი ელექტრონული ფოსტით დაიწყეს ურთიერთობა. მალე კი მათ გადაწყვიტეს პირადად შეხვედროდნენ ერთმანეთს და 2021 წლის იანვრიდან წყვილი გახდნენ. ორი თვის შემდეგ წყვილმა იქორწინა. გოგონამ აღიარა, რომ პირველივე შეხვედრის დროს მიხვდა, რომ მისი ახალი ნაცნობი განსაკუთრებული პიროვნება იყო.

გოგონას თქმით, მშობლები თავიდანვე დადებითი განწყობით არ შეხვედრიან მის არჩევანს დიდი ასაკობრივი სხვაობიდან გამომდინარე. თუმცა ახლა უკვე გოგონას დედას მშვენიერი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა სიძესთან, ხოლო მამა შვილის გადაწყვეტილებას დაემორჩილა.

ქორწილიდან მეოთხე დღეს ქალის ცხედარი ჩანთაში აღმოაჩინეს

ინგლისის დასავლეთ იორკშირის საგრაფოს დასახლება ლაიტკლიფში ქორწილიდან მეოთხე დღეს ჩანთაში მოთავსებული ქალის ცხედარი საბავშვო მოედნის მახლობლად იპოვეს.

დოუნ უოკერი 45 წლის შეყვარებულ თომას ნუტს გაჰყვა ცოლად. რამდენიმე დღის შემდეგ, პოლიციაში უცნობმა პირმა დარეკა და შეატყობინა, რომ ქალის ცხედრით ჩანთა იქნა აღმოჩენილი. მალევე გაირკვა, რომ ცხედარი უოკერს ეკუთვნოდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამი შვილის დედა გაგუდვისგან დაიღუპა. მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებულია მამაკაცი, რომელმაც პოლიციის განყოფილებაში დარეკა. სხვა ეჭვმიტანილების აქტიური სამძებრო სამუშაოები არ მიმდინარეობს.

მეგობრები და ახლობლები უოკერს იხსენებენ, როგორც გულუხვ, მზრუნველ და კეთილი სულის მქონე ქალს. **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

თსუ და ქუთაისი დაუმარცხებლად ასპარეზობენ

ხუსთავი-თსუ 70:78

(20:22, 14:18, 22:22, 14:16)

4 ტურის შემდეგ 4 გამარჯვება – ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი თსუ სუპერლიგას ასპროცენტიანი შედეგით ლიდერობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდის ლიდერი, ეროვნული ნაკრების წევრი, გიორგი ცინცაძე ტრავმის გამო ხანგრძლივი დროით დაკარგა, მაგრამ შემადგენლობა იმდენად კარგად არის დაბალანსებული, რომ თსუ ჯერ დაუმარცხებელია.

მორიგი გამარჯვება უნივერსიტეტელებმა რუსთავში, გასული სეზონის ჩემპიონთან მოიპოვეს. არადა, ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა ქვემოქართლელებმა მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ეს თსუ-ს დამარცხებას არ ეყო. რუსთაველები თამაშის მოგების შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ უმეტეს დროს მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ მეტოქეს არ რჩებოდნენ და მიუხედავად პერიოდულად სოლიდური ჩამორჩენისა, რამდენჯერმე ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ქვემოქართლელები ძირითადად შორი სროლებით ხეირობდნენ, რადგან ფარქვეშ თსუ-ს მაღლების სახით სოლიდურ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

მატჩის დასრულებამდე 1:40 წუთით ადრე რუსთაველთა ამერიკელმა უკანახაზელმა, კრისტიან კილინგმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. თუმცა, დარჩენილ დროში ლოველ ქაბილმა შეხვედრის ბედი სამქულიანითა და ზუსტი საჯარიმო სროლებით გადაწყვიტა. სოლიდური წილი გამარჯვებაში თსუ-ს დაცვამაც ითამაშა, რომელმაც ყველაზე საჭირო მომენტში რუსთაველები ისე შეამჭიდროვა, რომ ბურთი არ ჩააგდებინა და თსუ დაუმარცხებელი, რუსთავი კი მოუგებელი დარჩა. საბოლოო ანგარიში 78:70 – თბილისელთა სასარგებლოდ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლოველ ქაბილი გახდა, რომელმაც 19 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა. რაილ ოუენსმა 17 ქულა დააგროვა, ხოლო ნიკოლოზ დარბაიძემ და პაპ დიოპმა კი, 16-16 ქულა მოინაგრეს. ოლუს, დიოპს 17 მოხსნა ჰქონდა, რაც მიმდინარე გათამაშების რეკორდია. რუსთაველთაგან საუკეთესო იყო კრისტიან კილინგი, რომელმაც 21 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. ისმაელ ჰოლისმა შეხვედრა 18 ქულით დაასრულა.

ქუთაისი-ბათუმი 92:82

(27:21, 26:21, 23:20, 16:20)

დაუმარცხებელია ქუთაისიც, რომელმაც რეგიონულ დერბიში ბათუმს მოუგო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა 92:82 იმარჯვა.

ქუთაისელთათვის ბათუმთან მატჩი სუპერლიგაში მე-3 გახლდათ. მასპინძლებს გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებიათ. მართალია, ბათუმელები მეტოქეს დისტანციაზე მიყვებოდნენ და წარმატების შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ შეხვედრა ისე ჩამთავრდა, მასპინძლებს მათთვის ამის შანსი არ მიუციათ.

პირველი პერიოდი ქუთაისმა 27:21 მოიგო, მეორეს ბოლოს კი, უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა. მეორე ტაიმში საინტერესო ბრძოლა არ გამართულა. ბათუმელები მეტოქეს 10 ქულაზე ახლოს ვეღარ მიუახლოვდნენ და შეხვედრაც ამ სხვაობით დამთავრდა.

ქუთაისელებს 15 ქულით, 7 მოხსნით და 4 პასით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. 15 ქულა და 3 ჩაჭრა მიითვალა ადრიან ბოუიმ. ბათუმში 19 ქულით ბომბარდირი გახდა აიზეა ტრეილორი, ხოლო საუკეთესო შედეგი ბექა ბექაურის ანგარიშზეა – 18 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი.

ოლიმპი-ცხუმი 75:58

(14:16, 13:18, 34:14, 14:10)

ერთმანეთს მიმდინარე სეზონის 2 ამბიციური გუნდი – ოლიმპი და ცხუმ-აფხაზეთი შეხვდნენ. საკმაოდ საინტერესო, დაძაბული პირველი ნახევრის მიუხედავად, ბრძოლა არ შედგა. დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპელებმა უძლავრესი მესამე პერიოდი ითამაშეს, რომელიც 20 ქულით მოიგეს და თამაშის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს – 75:58.

არადა, ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა ცხუმ-აფხაზეთმა პირველი ტაიმი საკმაოდ დამაჯერებლად – 34:27 მოიგო. დიდი შესვენება ოლიმპელებმა საკმაოდ კარგად გამოიყენეს და მე-3 პერიოდი და ოლიმპის შტურმი ერთდროულად დაიწყო. სწრაფი შეტევებითა და შორი სროლებით როგავას გუნდმა ლიდერობა მყისვე მოიპოვა და ათწუთეულის დასრულებამდე მეტოქე გვარიანად ჩამოიტოვა. აღნიშნული მეოთხედი ოლიმპმა 34:14 მოიგო და ბოლო ათწუთეულის წინ 13 ქულით ლიდერობდა.

ცხუმ-აფხაზეთისთვის იმდენად დამთრგუნველი იყო მეტოქის ასეთი თამაში, რომ დარჩენილ დროში მათ ვერაფერი ვეღარ შეცვალეს. საბოლოოდ ოლიმპი დამაჯერებლად მივიდა სასურველ შედეგამდე და 4 ტურის შემდეგ 3 მოგებით სუპერლიგის ლიდერებში გაერია.

გამარჯვებულთაგან დავით ლომიძე გამოირჩა, რომელმაც 6 ცდიდან ყველა სამქულიანი ჩააგდო. ჯამში მის ანგარიშზე 24 ქულა დაგროვდა, ლუკა კალატოზიშვილმა 19 მოაგროვა, ილია ლონდარიძემ კი, შეხვედრა 12 ქულით დაასრულა. ცხუმ-აფხაზეთში 14 ქულით ბომბარდირი გიორგი შარაბიძე გახდა.



ვეჰა-მეგა 95:82

(22:19, 25:17, 23:20, 25:26)

მატჩი თანაბრად დაიწყო და მეორე პერიოდის შუამდე ასე გაგრძელდა. შემდეგ კი, ვერელები დიდ უპირატესობას დაეპატრონნენ, რაც ძირითადად მათი კარგი დაცვის შედეგი გახლდათ. მეგას კალათბურთელები ვერ ახერხებდნენ მეტოქის დაცვის ბარიერის გარღვევას, ხოლო ვერა სწრაფი შეტევებითა და შედეგიანი სროლებით ზრდიდა უპირატესობას, რომელმაც 15 ქულას მიაღწია.

დიდი შესვენებისთვის მეგამ ოდნავ, 11 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, მაგრამ ვერელებმა მე-3 ათწუთეულიდან სათამაშო უპირატესობა დაიბრუნეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ანგარიშში სხვაობა კვლავ გაიზარდა და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. ვერას კალათბურთელები წინდახედულად თამაშობდნენ და თავისი გუნდი გამარჯვებამდე უპრობლემოდ მიიყვანეს. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგაში მე-2 გამარჯვება მოიპოვა და ახლა ვერასაც და მეგასაც 2-2 მოგებ-წაგება აქვთ.

სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა დარელ ბრაუნმა, რომელმაც ვერელებს 28 ქულით ულიდერა. 25 ქულა მიითვალა გუნდის კაპიტანმა ვახტანგ ქადარიამ, რომელიც 3-მატჩიანი იძულებითი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა. 12 ქულა და 11 მოხსნა ზაკ ელიასის ანგარიშზეა. მეგაში 25 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო დემონტე ფლანიგანი. 15-15 ქულა ოთარ ბულიავამ და ჯიმონ ჰენსონმა მიითვალეს.

დინამო-კაკტუსი 79:99

(12:20, 23:31, 24:23, 20:25)

კაკტუსი იმ ორ გუნდს შორის იყო, რომლებსაც მიმდინარე ჩემპიონატში გამარჯვება არ ჰქონდათ მოპოვებული. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა ნავსის გატეხა მოახერხა – გუნდმა დინამოს წინააღმდეგ დამაჯერებლად ითამაშა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა – 99:79.

რევაზ როგავამ განსაკუთრებულად შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ეროვნული ნაკრების კანდიდატი, რომელმაც წინა სეზონი რუმინეთის უმაღლეს ლიგაში გაატარა, ამ სეზონის წინ სამშობლოში დაბრუნდა და კაკტუსს შეუერთდა. დინამოსთან მატჩში მის ანგარიშზე 27 ქულა, 11 პასი, 4 მოხსნა და 4 ჩაჭრა დაგროვდა. როგავასა და ამერიკელი ლეგიონერის, ჯორდან ფორბსის შედეგიანობით კაკტუსელებს მთელი თამაშის განმავლობაში არ გასჭირვებიათ. პირველი პერიოდის შემდეგ ჟღენტის გუნდი 20:12 იგებდა, ხოლო დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 16 ქულამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში დინამოელები გააქტიურდნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ბოლო პერიოდში ჩამორჩენის 9 ქულამდე შემცირება იყო. შეხვედრა ისე დასრულდა, ვითარება არ დაძაბულა. კაკტუსელები სტაბილურად იცავდნენ თავს და კიდევ უფრო შედეგიანად ირჯებოდნენ შეტევაში. საბოლოოდ 20-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა და ორივე გუნდს ცხრილში 3 წაგების წილ 1 გამარჯვება მოუგროვდათ.

როგავას კვალზე კაკტუსში 22 ქულა და 12 მოხსნა ჰქონდა ჯორდან ფორბსს. დინამოში ზეშედეგიანი თამაში ჰქონდა ბენჟამინ ქოლეჯს, რომელმაც 37 ქულა მოაგროვა, ხოლო 10-10 ქულა და მოხსნა რაჰსან უილიამსის ანგარიშზე დაგროვდა.

საკუჩნიო ცხრილი:

1.თსუ	4	4	0356-300	8
2.ოლიმპი	4	3	1308-269	7
3.ვერა	4	2	2341-386	6
4.ქუთაისი	3	3	0314-247	6
5.მეგა	4	2	2310-319	6
6.კაკტუსი	4	1	3300-333	5
7.დინამო	4	1	3342-374	5
8.ცხუმი	3	2	1216-223	5
9.ბათუმი	4	1	3349-352	5
10.ტიტები	3	1	2232-217	4
11.რუსთავი	3	0	3216-264	3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჩავი: „პირველი მცველი თავდამსხმელია, პირველი თავდამსხმელი – მეკარე“

ბარსელონაში ახალი ერა იწყება – კატალონიურ გუნდში ჩავი ერნანდესი დაბრუნდა, რომელიც უკვე სამწვრთნელო საქმით იქნება დაკავებული.

ესპანელმა სპეციალისტმა ბარსასთან ხელშეკრულება 2024 წლამდე გააფორმა.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ჩავი გუნდში სამუშაო წესებს დაადგენს. განახლებული წესები მხოლოდ ფეხბურთელების საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადებით, ვარჯიშითა და შემდეგ სახლში დაბრუნებით არ შემოიფარგლება. ესპანელი მწვრთნელი დილის ვარჯიშების ხანგრძლივობას გაზრდის. მოთამაშეები ბაზაზე ისაუზმებენ, რაც მათი კვების გაკონტროლების საშუალებას იძლევა. ასევე 41 წლის სპეციალისტმა და მისმა შტაბმა ტრავმების პრევენციისთვის თითოეულ ფეხბურთელს სპეციფიკური სავარჯიშო გეგმა მოუმზადეს. მაგალითად, უსმან დემბელეს, რომელიც გარემარბია, სხვაგვარი მომზადება სჭირდება.

ჩავის მიზანია, მოთამაშეებმა წესები მკაცრად დაიცვან, როგორც ეს პეპ გვარდიოლას, ტიტო ვილანოვასა და ლუის ენრიკეს ეპოქაში ხდებოდა.

ამასობაში ჩავი ერნანდესმა „კამპ ნოუზე“ პრესკონფერენციაც მოასწრო და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ჩავი:

– აღფრთოვანებული ვარ, რომ სახლში დავბრუნდი. რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით, მაგრამ ამბიციები გვაქვს. მადლობა კლუბს ნდობისთვის. მინდა, ფეხბურთელებს პოზიტივი გადავცე. მათ მიმართ მომთხოვნი ვიქნები... სრულყოფილება უნდა ვეძიოთ. ჩემთვის ძალიან ღირებულია, თუ როგორ მიმიღეს ფანებმა. მკაფიო იდეები მაქვს. მოთხოვნები, გუნდური მუშაობა...

– ითამაშებს თუ არა გუნდი ისე, როგორც ამას გვარდიოლა აკეთებდა?

– პეპთან შედარება უკვე წარმატებაა. ჩემთვის ის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია. ვნახოთ, რამდენად შევძლებ იგივე წარმატების მიღწევას.

– გუნდში ბევრი ტრავმირებულია. არის თუ არა ბარსელონაში სამედიცინო მომსახურება მაღალ დონეზე?

– ამ ფეხბურთელებზე ვწუხვართ. ეს საკითხი უნდა მოვაწესრიგოთ და ვნახოთ, რაშია პრობლემა. შევეცდებით, ფეხბურთელები მზადყოფნაში იყვნენ რაც შეიძლება დიდი ხანი. პრეზიდენტთან ჯერ არ გვისაუბრია, ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.

– რა არის კიდევ ბარსელონას პრობლემა?

– ყველაფერი კარგად მიდიოდა, როდესაც გასახდელში წესრიგი იყო. წესების გარეშე საქმე ცუდად წავიდა. გარედან ვამჩნევ, რომ გუნდში იმყოფებიან ფეხბურთელები, რომლებიც დიდი ზეწოლის ქვეშ არიან. ფსიქოლოგიური საკითხი ძალიან რთულია, მაგრამ მათთან ვიმუშავებთ. მინდა, მათ დავეხმარო, გავესაუბრო, რათა გავიგო, რაშია პრობლემა.

– რომელი მწვრთნელისგან ისწავლეთ ის, რასაც მომავალში გუნდში გადაიტანთ?

– კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი მწვრთნელი მყავდა: კრუიფი, ვან გაალი, გვარდიოლა, რაიკაარდი, ლუის ენრიკე... ყველა მათგანისგან რაღაცები ვისწავლე. ასე რომ, ყველაფერს თანაბრად გამოვიყენებ. ბევრი საკითხია განსახილველი. შევეცდებით, ჩვენი მოსაზრებები ფეხბურთელებს, რაც შეიძლება მალე გავაცნოთ, რათა მათ კარგად ითამაშონ. გვინდა მაღალი პრესინგი, ბურთის დაბრუნება მეტოქის ნახევარზე, ინტენსივობა, შეტევაში წასვლა, გუნდი, რომელიც მოედანზე სულს დატოვებს.

– ესაუბრეთ მესის ბარსაში დაბრუნების შემდეგ?

– ლეოსთან მეგობრობა მაკავშირებს. დიახ, მან შეტყობინება გამომიგზავნა და წარმატებები მისურვა.

– იქნება თუ არა ტრანსფერები იანვარში?

– კლუბთან სატრანსფერო საკითხებს გადავაფასებთ და გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჯერ ადრეა, მაგრამ გუნდის გაძლიერებაზე ვიმუშავებთ. ნებისმიერი სატრანსფერო ფანჯარა ყოველთვის შესაძლებლობაა.

– ლაპორტა შეთავაზებას თითქოს აჭიანურებდა, მაგრამ მაინც დაგითანხმათ.

– ლაპორტა საუკეთესო პრეზიდენტია, რომელიც ამ კლუბს ოდესმე ჰყოლია. მან დამირეკა და მითხრა, რომ ვჭირდებოდი. ვამჩნევ, რომ მას არაჩვეულებრივი ბორდი ჰყავს.

– რატომ არ დავბრუნდი უფრო ადრე?

– ბარსა 2-ჯერ დამიკავშირდა – იანვარში და გასული წლის ზაფხულში, მაგრამ არ ვგრძნობდი, რომ მზად ვიყავი. გარდა ამისა, არჩევნები ჩასატარებელი იყო.

– ფეხბურთელთა გარკვეულ ნაწილთან გითამაშიათ კიდეც, რამდენიმე თქვენთვის სრულიად უცხოა.

– რამდენიმე ფეხბურთელს ვიცნობ, ვიცი მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩემთვის ეს უპირატესობაა. პიკეს, ბუსკეტსს, ალბას, ტერ შტეგენსა და რობერტოს შესანიშნავად ვიცნობ. გამარჯვების საუკეთესო გზა კარგად თამაშია და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მოედანზე. მოსაგებად ყველა მიდგომა პატივსაცემია, მაგრამ ჩვენი სტილი კარგი თამაშია. ამ სტილით მოვიგეთ ტიტულები ბარსასა და ნაკრებში.

– იყო საუბრები, რომ მოლაპარაკებები ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან გქონდათ.

– ეს სიმართლეა. ბრაზილიის ფედერაციასთან ვისაუბრე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ტიტეს ადგილს დავიკავებდი და ეროვნულ გუნდს ვუხელმძღვანელებდი, მაგრამ ჩემი ოცნება ბარსაში მოსვლა იყო.

– დატოვებთ თუ არა გუნდში ფრანგი ფეხბურთელებს?

– ბარსაში მყოფ ყველა ფეხბურთელზე იმედებს ვამყარებ. უმტიტისთან და ლანგლესთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გავაკეთებ – ისინი ნულიდან იწყებენ.

– რა გეგმები და დავალებები გაქვთ პრეზიდენტისგან?

– ბარსელონა მსოფლიოში ყველაზე რთული კლუბია, რადგან ყოველთვის უნდა მოიგო და ნდობა მოიპოვო. შევეცდები, სრულყოფილებას დავუბრუნდეთ.

– ვინ იქნებიან გუნდში ლიდერები?

– კონკრეტული ლიდერობის არ მჯერა. ლიდერები ჩვენ, შტაბი, უნდა ვიყოთ, შემდეგ კი რამდენიმე ლიდერი უნდა არსებობდეს. მესი გუნდს მოედანზე ლიდერობდა, მაგრამ გასახდელში უფრო ინტროვერტი იყო. ყველას თავისი როლი უნდა ჰქონდეს.

– როგორია თქვენი საფეხბურთო ფილოსოფია?

– ჩემი პირველი მცველი თავდამსხმელია, ჩემი პირველი თავდამსხმელი – მეკარე. ესაა კრუიფის ფილოსოფია და ასე ვისწავლე მისგან. ყველაფერი ყველაზეა დამოკიდებული. ის, რაც სათამაშო სისტემაზე მეტად მინდა, მოდელია: შევიწროება, ბურთის ფლობა, დომინირება, მეტოქეზე მეტი მომენტის შექმნა...

შვედეთი საქართველოზე ფიქრობს, საქართველოს საფიქრალი აღარ აქვს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2021 წლის დასკვნითი მატჩებისთვის მზადება არასრული შემადგენლობით დაიწყო და ვილი სანიოლის განკარგულებაში სულ 12 ფეხბურთელი იყო. გუშინ გუნდს ლუკა ლოჩოშვილი, ლაშა დვალი, დავით ვოლკოვი, გურამ კაშია, ჯაბა კანკავა, ვაკო ყაზაიშვილი, გიორგი ლორია, დავით ხოჭოლავა, გიორგი ჩაკვეტაძე, ხვიჩა კვარაცხელია, ოთარ კაკაბაძე, ვაკო გვილია და ნიკა კაჭარავა შეუერთდნენ და სრული შემადგენლობით ჩაერთვნენ საწვრთნელ პროცესში, ხოლო მოგვიანებით უკვე ბათუმში გაემგზავრა, სადაც 11 ნოემბერს შვედებს დავუხვდებით.

შეგახსენებთ,რომ გურამ გიორბელიძე და ლაშა დვალი ყვითელი ბარათების გამო შვედეთთან მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა, ფეხბურთელები გუნდთან ერთად უზბეკეთთან დაგეგმილი ამხანაგური თამაშისთვის ემზადებიან.

თავის მხრივ, შვედები ბათუმში მოტივირებული ჩამოდიან, რადგან მუნდიალზე გასვლის კარგი შანსი აქვს. შვედეთის ნაკრები შესარჩევი ციკლის

დასრულებამდე 2 ტურით ადრე ესპანეთს 2 ქულით უსწრებს და საქართველოს შემდეგ ლუის ენრიკეს გუნდს სტუმრად შეხვდება. თუმცა, შესაძლოა, შვედებმა ბათუმშივე მოიპოვონ საგზური. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თავად მოიგებენ და ესპანეთი საბერძნეთს სტუმრად ვერ დაამარცხებს.

საქართველოში ჩამოსვლამდე შვედების მთავარმა მწვრთნელმა იანე ანდერსონმა პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ ესპანეთთან მატჩი ამ ეტაპზე არ აინტერესებს.

იანე ანდერსონი:

– ჩემთვის ჯერ საქართველოში თამაშია მნიშვნელოვანი. გვაქვს გეგმა, რომლითაც გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ. ესპანეთზე რომ ვიფიქროთ და საქართველო დავივიწყოთ, კარგი არ იქნება. მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ საგზური საქართველოშივე მოვიპოვოთ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ ჯგუფში კვირამდე ვითარება დაძაბული დარჩეს. მინდა საბერძნეთი-ესპანეთს ვუყურო, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ქართული არხები ამ მატჩს აჩვენებენ.

სკანდინავიელები ყურადღებას საქართველოში კორონავირუსის პანდემიის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე ამახვილებენ. საამისოდ, სანამ გუნდი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდოდა, კოორდინატორი სესილია სანდელი გამოაგზავნა, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა უსაფრთხოების ზომებზე.

იანე ანდერსონს ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა, ყველა ფეხბურთელს აცრა გაეკეთებინა.

– ყველა ფეხბურთელს აცრა რომ გაეკეთებინა, თავს უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობდით და უკეთესი იქნებოდა. თუმცა, ეს ინდივიდუალური არჩევანია და, უბრალოდ, ძალიან რთულია. ვერ გამოვიძახებ ფეხბურთელებს იმის მიხედვით ვინ აცრილია და ვინ – არა. აშკარაა, უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა აცრილი ყოფილიყო.

საქართველოსა და შვედეთის მატჩი 11 ნოემბერს ბათუმში 21:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ვზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. პროსპექტის, ფართო ქუჩის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 3. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო პლატონის ფილოსოფიური სკოლა; 4. ნავსადგურის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. ველური ვარდი; 8. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 11. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. პირველ ქართულ ფილმ „ქრისტინეს“ რეჟისორი; 16. შემინული აივანი; 17. თევზის საჭერი მახე მდინარეში; 19. ბუნებრივი ვენტილაცია, განიავება; 21. ხშირი წიწვოვანი ტყის მასივი აზიის, ევროპის, ამერიკის ჩრდილოეთში; 22. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

თარაზულად: 1. მდინარე ბოლნისში; 5. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. სოფლის პოლიციელი ძველად საქართველოში; 9. პოლონეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. სააგიტაციო, სარეკლამო ნახატი, სურათი; 13. მსხვილი ფინანსური სამრეწველო გაერთიანება; 16. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 17. რაიმე მოვლენის, პროცესის ცალკეული სტადია, მომენტი; 18. ყვითელი ფერის, გამჭვირვალე, მტკიცე ფისოვანი მინერალი; 20. ნავთობის საბადო კახეთში; 22. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდის პრემიის ლაურეატი; 23. მხარე გერმანიაში; 24. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 25. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტრიბუნი; 2. რეგენტი; 3. ერზაცი; 4. გოეთე; 5. სელადონი; 7. კიი; 11. სვინგი; 15. ვატმანი; 16. საკურა; 17. ბრერა; 18. ომეგა; 20. როდეო; 22. ჯაკო.

თარაზულად: 6. როკოკო; 8. თემშარა; 9. სპეკალი; 10. ბოლნისი; 12. ფაცხა; 13. ელადა; 14. პარიტეტი; 19. მეტეორი; 21. არემჯი; 23. მასკი; 24. ფრანკი; 25. ენოთეკა; 26. პაკჰაუზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ერებუსი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. როზარიუმი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

თარაზულად: 1. კემბრიჯი; 5. პიკე; 7. ოდეონი; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. ანოქსია; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. დიაგრამა; 22. ფიატი; 23. კარდიფი; 24. უცნობი; 25. ვოლტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1571

ევრო — 3.6597

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2918

100 რუსული რუბლი — 4.4468

ამინდის პროგნოზი 10 ნოემბრისათვის

მამაკაცმა მაიმუნს ეშმაკობით აჯობა და მოპარული სათვალე დაიბრუნა

ინდოეთში მამაკაცმა მაიმუნს ეშმაკობით აჯობა და მისთვის მოპარული სათვალის დაბრუნებაზე დაითანხმა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ტვიტერში პოლიციელმა რუპინ შარმანმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ზის მაიმუნი რკინის გალიის სახურავზე, თათებში ათამაშებს მამაკაცისთვის მოპარულ სათვალეს, მისი პატრონი კი ამ ყოველივეს ქვემოდან შეჰყურებს. მოპარულის დასაბრუნებლად მამაკაცმა გადაწყვიტა, ეშმაკობისთვის მიემართა. მან გარეულ ცხოველს წვენის შეკვრა გაუწოდა. როდესაც მაიმუნმა შეთავაზებულისკენ გაიწია, მამაკაცმა მის მაშინვე მიცემაზე უარი უთხრა.

მიხვდა რა, რომ ადამიანს წვენის სანაცვლოდ სათვალის დაბრუნება სურდა, მაიმუნი გაცვლაზე დასთანხმდა. როგორც კი მამაკაცმა წვენი მიაწოდა, მან სათვალე დაუბრუნა.

ლეოპარდის ბოკვერი მშიერ გიენას ბოლო წამს დაუსხლტა კლანჭებიდან

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ლეოპარდის ნაშიერმა ბოლო წამს მოახერხა მშიერი გიენისგან თავის დაღწევა და ხეზე აძრომით თავს უშველა.

30 წლის გიდი-ფოტოგრაფი მუსა ვარაჩივა ტურისტების ჯგუფთან ერთად თვალს ადევნებდა ძუ ლეოპარდს. საღამოს ჯგუფი პარკიდან გასამგზავრებლად ემზადებოდა, მაგრამ შეჩერდა, ვინაიდან ვარაჩივამ ერთ-ერთი ბუჩქის ქვეშ თერთმეტი თვის ლეოპარდის ბოკვერი შენიშნა.

– რამდენიმე ფოტოსურათი, ვიდეო გადავიღეთ და უკვე წასასვლელად ვემზადებოდით. მოულოდნელად მოახლოებული გიენები შევნიშნე. ვიცოდი, რომ ბოკვერისთვის ეს შესაძლოა ძალიან ცუდად დასრულებულიყო, – განაცხადა ვარაჩივამ.

მის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ მიდიან გიენები იმავე გზით, რომლითაც საფარის მონაწილეები ავტომობილით გადაადგილდებიან. მოულოდნელად ერთ-ერთი მათგანი ლეოპარდის სუნს იგრძნობს და მისკენ გაემართება. საფარის ერთ-ერთ მონაწილეს ესმის, რაც უნდა მოხდეს და ამბობს „არა, არა, არა“.

გიენა სწრაფად უახლოვდება ბუჩქს, რომლის ქვეშაც პატარა ლეოპარდი იმალება. მოულოდნელად ბოკვერი თავშესაფარს ტოვებს და გაქცევას ცდილობს. გიენა უკან დაედევნება.

ასაკიდან გამომდინარე, ლეოპარდის ბოკვერს მაქსიმალური სიჩქარის განვითარება არ შეეძლო და გიენამ თითქმის მოახერხა მას მისწვდომოდა, მაგრამ ლეოპარდმა ბოლო მომენტში მოახერხა ხეზე შეხტომა და რაც შეიძლება მაღლა აცოცება. გიენა ცოტა ხანს გარშემო უვლიდა ხეს, მაგრამ საბოლოოდ თავი ანება და გზა გააგრძელა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 ნოემბრისათვის

ვერძი – პლანეტები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **კურო** – დღეს აქტიურობა მოგიწევთ. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **ტყუპები** – რთული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. გარისკვას ნუ ეცდებით. **კირჩხიბი** – სინდისის ხმას მოუსმინეთ. ხელმძღვანელობას ნუ შეეკამათებით. საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ლომი** – თქვენი შემართება და შრომისმოყვარეობა დაუფასებელი არ დარჩება. შესაძლოა, საჩუქარი მიიღოთ. **ქალწული** – კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **სასწორი** – აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **ღრიანკალი** – იფრთხილეთ. დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. დიდია მოტყუების ალბათობაც. **მშვილდოსანი** – განმარტოვდით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. საქმის დამთავრებისათვის ხელსაყრელ დროს დაელოდეთ. **თხის რქა** – ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **მერწყული** – პროფესიულ სფეროშიც და ოჯახშიც სიტუაცია რთულია. აუცილებელია გარემოს შეცვლა. **თევზები** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. თამამად და აქტიურად იმოქმედეთ. მეგობრებთან ურთიერთობა ოპტიმიზმს შეგმატებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კარზე აკაკუნებენ. მასპინძელი აღებს და კართან მდგომი ერთ-ერთი პირი ეუბნება:

– გვინდა ღმერთზე გელაპარაკოთ. ხვალ რომ მოკვდეთ, არ გეშინიათ?

– საქართველოში ვცხოვრობ. ხვალე სიცოცხლის უფრო მეშინია.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– რას მირჩევდით თქვენ საფირმო კერძთან, მშრალ თუ ნახევრად მშრალ ღვინოს?

– ქალთან ერთად ხართ?

– დიახ.

– რომელთან, ახლახან ტუალეტში რომ გავიდა?

– დიახ.

– მაშინ არაყი შეუკვეთეთ.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და ქალ მძღოლს ეუბნება:

– თქვენი მართვის მოწმობა თუ შეიძლება.

– რაა?

– მართვის მოწმობა.

– ეგ რა არის?

– რა და ასეთი პატარა საგანია მასში თქვენი ფოტოსურათით.

– აჰა, გასაგებია, – უპასუხა და ხელჩანთაში მცირე ხნის ძრომიალის შემდეგ პატრულს სარკე გაუწოდა და ეუბნება: – აი, ნახეთ.

– კი მაგრამ, თავიდანვე ვერ მითხარით, თუ პატრულის თანამშრომელი იყავით.

●●●

პაციენტი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, ექიმო, დამეხმარეთ! რა მჭირს?

– დამშვიდდით, თქვენ ჩვეულებრივი ჰემოროი გაქვთ.

– როგორ თუ ჰემოროი, სახეზე?

– აჰ ეგ სახეა?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ოჯახში ძაღლის აყვანა მინდა, მაგრამ ცოლი არ მაძლევს...

– და რატომ გგონია, რომ ძაღლი მოგცემს.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, გახსოვს, პირველად რომ დამინახე?

– რა თქმა უნდა, მზიანი დღე იყო და უბედურებას არაფერი მოასწავებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გელა ჩარკვიანი გარდაიცვალა

82 წლის ასაკში მწერალი, დიპლომატი, მუსიკოსი გელა ჩარკვიანი გარდაიცვალა.

– როგორც ბავშვობაში შენი დაბადების დღიდან მიჰყავთ მშობლებს შენი მეგობრები, ასევე, რიგრიგობით მიჰყავს ისინი დღეს ჩვენს საერთო მშობელს. მაშინდელივით განიცდი, გინდა გაგრძელდეს ზეიმი. აღარავინ გრჩება, რომ ეთამაშო...

ირაკლიმ სიკვდილი გამიადვილა. ნანა უფრო შორს წავიდა – მან სიკვდილი მომანდომა, – წერდა გელა ჩარკვიანი თავის წიგნში „ნაგერალა“.

ზაზა შენგელია:

– გელა ჩარკვიანი – კეთილშობილების, ინტელექტის, პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმისა და თავმდაბლობის ეტალონი და ყველასათვის სამაგალითო ქართველი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ძალიან მიხარია, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში მასთან ერთად მომიწია მუშაობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და ბევრი რამ ავიღე და ვისწავლე მისგან, ასევე, მომდევნო წლებში, ჩემი ტელევიზიაში მუშაობის პერიოდში, მან ჩემი თხოვნით გააკეთა არაჩვეულებრივი სამნაწილიანი დოკუმენტური ფილმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 10 წლის იუბილეზე, სადაც თვითონ იყო შესანიშნავი ნარატორი და, ბოლოს'„ბრავო რექორდსში“, სადაც გამოვუშვით მისი შვილის უიშვიათესი ანთოლოგიური ალბომი, სადაც სულ ბოლოს მისი საავტორო საფორტეპიანო კომპოზიციები ჩავწერეთ.

ძალიან გულსატკენია, რომ ასეთი ადამიანები სულ უფრო და უფრო ცოტანი გვრჩებიან და ამ დროს კი ჩვენი ქვეყანა ზიზღისა და სიძულვილის მორევში იჩეხება.

ბექა გოჩიაშვილი ჩიკ კორეას მაგივრად დაუკრავს

ქართველი ჯაზმუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი მსოფლიო ლეგენდის ჩიკ კორეას ნაცვლად მის მუსიკოსებთან ერთად კონცერტს გამართავს. ქართველი ხელოვანი ჩიკ კორეას იმ მუსიკოსთა ჩამონათვალში მოხვდა, რომლებიც მისი შთაგონების წყარო გამხდარან.

სასიხარულო ინფორმაცია მუსიკოსმა ჭაბუკა ამირანაშვილმა გაავრცელა:

– ვამაყობ ბექა გოჩიაშვილით!

ის ჩიკ კორეას ტრიოსთან ერთად დაუკრავს ჩიკ კორეას მაგივრად. პატიტუჩი, ვეიკლი და ბექა!

ერმალო მაღრაძე კორონავირუსს ებრძვის

79 წლის რეჟისორი ერმალო მაღრაძე კორონავირუსის მძიმე ფორმას კლინიკაში ებრძვის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმები აკონტროლებენ.

რეჟისორის ფილმები „თეა“, „შვეიცის პრინცი იმერეთიდან“, „გზააბნეულნი“, „აპოკალიპსი არ იქნება“ ინტერნეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ერმალო მაღრაძე მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც „ნიჭიერში“ მიიღო მონაწილეობა და თავისი საყვარელი საქმიანობისთვის კამერა ითხოვა. მოგვიანებით კი რეჟისორმა მსოფლიო ვარსკვლავის სილვესტერ სტალონესთვის ინგლისურენოვანი მიმართვა ჩაწერა და მას ფილმში მონაწილეობა სთხოვა.

ზალიკო ბერგერი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ გამოეთიშა

დიზაინერი ზალიკო ბერგერი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ მეორე საკონკურსო ტურიდან გამოეთიშა. ის გავარდნის კანდიდატი პირველ საკონკურსო ტურშიც იყო, თუმცა მაყურებელმა პროექტიდან მომღერალი ნოდარიკო ხუციშვილი გაუშვა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცოტა ქულა დააგროვეს ზალიკო ბერგერისა და ხათუნა ოქიტაშვილის და თი მაჭავარიანისა და ერეკლე გირგვლიანის წყვილმა. ბოლო ერთი წუთის განმავლობაში გაგზავნილი მოკლე შეტყობინებების მიხედვით, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ თი მაჭავარიანი დარჩა, ზალიკო ბერგერი კი პროექტს გამოეთიშა.

როგორც დიზაინერმა განაცხადა, ის შოუდან არავის გაუგდია – ცოტა გაერთო და თავად წავიდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა ყოველდღე ერთი ბოკალი ღვინით 100 წელი იცოცხლა

ბრიტანელმა დღეგრძელმა ქალმა საკუთარი 100 წლის იუბილე აღნიშნა და განაცხადა, რომ ამ ასაკამდე ღვინისადმი სიყვარულის წყალობით მიაღწია.

ღირსშესანიშნავი თარიღი მერი ფოულიმ ჩეშირის საგრაფოს ქალაქ ნანტვიჩის ხანდაზმულთა სახლში იზეიმა ქალიშვილ მაირასთან და შვილიშვილ დევიდთან ერთად. ახლობლები აშშ-დან ჩუმად ჩამოვიდნენ ინგლისში იმისთვის, რომ მერისთვის სიურპრიზი მოეწყოთ.

ქალისთვის 100 წლის იუბილეს მისაღოცად სხვა ნათესავებიც მივიდნენ, ხოლო თავად დღესასწაული მთელ დღეს გაგრძელდა. როდესაც იუბილარს ჰკითხეს, თუ რაში მდგომარეობდა მისი დღეგრძელობის საიდუმლო, მან დაუფიქრებლად უპასუხა: „ბოკალი ღვინო ყოველდღე სადილზე!“

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 2. მუსლიმანური რელიგიის ფანატიკოსი მიმდევარი; 3. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 4. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი მამაკაცი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 18. პროფესიონალი მონადირე; 20. სკულპტურული ქმნილება; 22. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 6. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი შუა-აზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 13. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 14. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 19. საქართველოს იუსტიციის მინისტრი; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 23. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანებში; 24. ერთი ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; 25. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 26. ქუჩაში განთავსებული სახანძრო ონკანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა